პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 100 (9568) | სამშაბათი, 28 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ბოლომდე აღმოვფხვრათ შეცდომები და დამახინჯებანი

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა ჩვენს რესპუბლიკაში პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები. კომუნისტები, რომლებიც ამ პლენუმებზე გამოდიოდნენ, ულმობლად აკრიტიკებდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელების მანკიერი მუშაობის სტილს, ნიღაბს ხდიდნენ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის ამხ. მგელაძისა და მისი ამყოლების ამხ. მ. ბალავაძის, შ. გეთიას, ვ. ბალავაძისა და სხვათა დანაშაულს პარტიის წინაშე, ერთსულოვნად იწონებდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 14 აპრილის პლენუმის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, ისე საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე აღინიშნა, რომ თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა გადაქცეული არ იყო საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის უმნიშვნელოვანეს მეთოდად. ამხ. ა. მგელაძე და მისი ამყოლნი დაუსრულებლივ გაჰყვიროდნენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის აუცილებლობაზე, მაგრამ ნამდვილად სწორედ ისინი ვერ ითმენდნენ ქვემოდან კრიტიკას, უხეშად ახშობდნენ მას, ანგარიშს უსწორებდნენ ყველას, ვინც გაბედავდა და გააკრიტიკებდა მათ, მათს ახლობლებს.

საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი ამხ. ა. მგელაძე, ნაცვლად იმისა, რომ გარკვეულიყო ავანტიურისტ რუხაძისა და მისი დამქაშების მიერ შეთითხნილ „საქმეებში“, ემხილებინა მათი მტრული მოქმედება, თვითონ იჩენდა დიდ აქტივობას რუხაძის მიერ წამოწყებული პროვოკაციული საქმის გაღვივებაში, პარტიისა და ხალხის ერთგულ მუშაკთა დაპატიმრებაში. კარიერისტი ა. მგელაძე ფართოდ ნერგავდა მაამებლობასა და მლიქვნელობას, უხეში ადმინისტრირების მანკიერ სტილს. იგი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების შერჩევას ეწეოდა არა პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით, როგორც ამას ლენინი და სტალინი გვასწავლიდნენ, არამედ მეგობრული და ნათესავური დამოკიდებულების მიხედვით, რის შედეგადაც ხელმძღვანელ სამუშაოებზე ხვდებოდნენ უღირსი ადამიანები. ამხ. ა. მგელაძის „მუშაობის“ ეს სტილი უცვლელად გადაჰქონდათ „მის კაცებს“ — პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის ყოფილ მდივანს ამხ. მ. ბალავაძეს, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილ მდივანს ამხ. შ. გეთიას, თბილისის საქალაქო კომიტეტის ყოფილ მდივანს ამხ. ვ. ბალავაძეს.

ამ დღეებში ჩატარდა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სუხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმები. ამ პლენუმებზე გამოაშკარავდა, რომ ამხ. ა. მგელაძე ჯერ კიდევ პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნად მუშაობის წლებში ფართოდ ნერგავდა მლიქვნელობას, მაამებლობას, არარსებული წარმატებებით დატკბობას, ეწეოდა საკოლმეურნეო წესდების უხეშად დამახინჯებას. ამხ. ა. მგელაძის მუშაობის ამ სტილს ურყევად იცავდა მისი „მემკვიდრე“ ამხ. შ. გეთია. ეს უკანასკნელი უხეშად ერეოდა პროკურატურის საქმეებში, იძლეოდა განკარგულებებს სრულიად უდანაშაულო ადამიანთა დაპატიმრების შესახებ, კრიტიკისათვის მკაცრად სჯიდა მთელ რიგ პატიოსან მუშაკებს.

მაშინ როცა აფხაზეთის პარტიულ ორგანიზაციებში ძლიერ ჩამორჩება პარტიული პროპაგანდა, ყველაფერი რიგზე არ არის თვით პარტიის მე-19 ყრილობის მასალებისა და ი. ბ. სტალინის ახალი გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესწავლის დარგში, საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივნის შ. გეთიას მლიქვნელობა იქამდე მივიდა, რომ მისი მითითებით გამოიცა ა. მგელაძის ტრაბახა სიტყვები, მოხსენებები და შემდეგ საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს დაურიგდათ შესასწავლად (!).

კომუნისტების დაშინებასა და მათი მოქალაქეობრივი უფლებების უხეშად შელახვას ეწეოდნენ სუხუმის საქალაქო კომიტეტის მუშაკებიც, რომლებიც სრულიად დაუმსახურებლად წამოყენებულ იქნენ ა. მგელაძის მიერ პასუხსაგებ თანამდებობებზე.

არანაკლებ აღმაშფოთებელი ფაქტები გამოაშკარავდა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე. უხეშობა, ადმინისტრირება, კადრების დაშინება, კრიტიკის დევნა — ასეთი იყო პარტიის ქუთაისის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, ამხ. ბალავაძის მუშაობის ძირითადი „მეთოდი“. მ. ბალავაძემ ნიშანში ამოიღო ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენლები — ექიმები, მასწავლებლები და ყოველთვის უწმაწურად მიმართავდა, სამუშაოდან უდანაშაულოდ ხსნიდა მათ. პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი მ. ბალავაძე იქამდე მივიდა, რომ პირადად იძლეოდა განკარგულებებს მოქალაქეთა დაპატიმრებაზე. სამწუხაროდ, ამ „ხელმძღვანელს“ უკრიტიკოდ ბაძავდნენ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ღოღობერიძე და სხვა მუშაკები.

ბუნებრივია, რომ ასეთ „ხელმძღვანელებს“ არავითარი ავტორიტეტი არ ჰქონდათ პარტიულ ორგანიზაციებსა და მოსახლეობაში.

აღსანიშნავია, რომ მათ გამართულ პლენუმებზე გულწრფელად არ უღიარებიათ თავიანთი დანაშაული და ცდილობდნენ სხვისთვის გადაებრალებინათ იგი.

საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნის კარიერისტ ა. მგელაძის ხელმძღვანელობის, მისი მუშაობის მანკიერი სტილის სამწუხარო შედეგები ნაკლები როდია აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის პარტიულ ორგანიზაციებში. აქ საოლქო კომიტეტების მდივნების ხელშეწყობით ფართოდ გაიდგა ფესვები საპარადო წმაურმა, მლიქვნელობამ, პარტიული მუშაკისათვის სრულიად შეუფერებელმა მოქმედებამ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ს. ყურაშვილის იდეურად მავნე, პოეტურად უსუსური და მლიქვნელური ლექსი „ამომრჩეველთა გულის ძახილი“, რომლის დიდი ნაწილი მიძღვნილია ა. მგელაძისადმი, და რომლის შესახებაც ვწერდით ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, დაიწერა საქართველოს კ. პ. სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ა. იმნაძის ინიციატივით, მისი პირადი მითითებითა და დავალებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი მიმართულია პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობაში დაშვებულ სერიოზულ დამახინჯებათა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ. ჩვენი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — იბრძოლონ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად გატარებისათვის, მიაღწიონ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში არსებით გარდატეხას, ნაკლოვანებათა უსწრაფეს ლიკვიდაციას.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება და არჩევნები. საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ამოცანაა უზრუნველყონ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალი პოლიტიკური დონე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღება, კრებების ჩატარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით, დაშვებული უხეში დამახინჯებებისა და შეცდომების გამოსწორების, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში ახალ წარმატებათა მოპოვების ნიშნით.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული დამახინჯებებისა და შეცდომების ბოლომდე მხილებისა და მათი დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის კომუნისტების დარაზმვის საქმეში განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრება ჩვენს პრესას—საოლქო და რაიონულ გაზეთებს. მათი ვალია მოურიდებლად, მთელი პირდაპირობით ამხილონ არამარტო საქართველოს კ. პ. ც. კ-ისა და საოლქო კომიტეტების ყოფილი ხელმძღვანელობის მანკიერი სტილი, მათი შეცდომები და დამახინჯებანი, არამედ შეცდომები და დამახინჯებანი თვითეული რაიონული და საქალაქო კომიტეტისა, მათი მდივნებისა, რომლებიც ხშირად დიდი მონდომებით ბაძავდნენ თავიანთ კარიერისტ მასწავლებლებს.

ასეთია ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, ჩვენი პრესის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს საქალაქო საბჭოს დეპუტატებს, რომ დღეს, 28 აპრილს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია **თბილისის მე-4 მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-2 სესია.**

სესია გაიხსნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე საღამოს 7 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი

ჩვენს დიად სამშობლოში

სვერდლოვსკი. ურალის ს. ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის ბევრი სტახანოველი გეგმას 200 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: ექსკავატორთა აწყობის უბანი. ზენიკალი ა. დოლგუშევი სამუშაოზე.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა და ა. გრახოვისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

საპირველმაისო საჩუქარი კომუნიზმის დიად მშენებლობებს

სტალინო, 25 აპრილი. (საკ. ინ.). საპირველმაისო სტახანოვური ვახტის დღეებში ქარხანა „აზოვსტალის“ მეტალურგებმა დიდი შეკვეთა მიიღეს — კომუნიზმის სანაგებლად ოთხი ათასი ტონა ფოლადის ნარანდიანი ხიმინჯი. რელსკოჭის საამქროს კოლექტივმა ვადამდე გაართვა თავი საპატიო დავალებას. გუშინ ხიმინჯის უკანასკნელი ეშელონი გაეგზავნა კუბიშევის ჰესის მშენებლებს. ნაგლინის დიდი პარტია გაეგზავნა კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის საამშენებლო მოედანს.

მგლინავები ასრულებენ საადღესასწაულო ვალდებულებებს და არსებული მოწყობილობით ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას.

პირველი ლაპოტი კუბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ჭურჭინისათვის

ელექტროსტალი (მოსკოვის ოლქი), 25 აპრილი. (საკ. ინ.). დღეს ნოვოკრამატორსკის ქარხნის ფოლადსამსხმელო საამქროში ჩამოასხეს პირველი ლაპოტი კუბიშევის ჰიდროელექტროსადგურის ტურბინისათვის. ამას დასჭირდა 40 ტონამდე თხევადი ლითონი. ეს ლითონი შემცირებული გრაფიკით გამოადნო გამოცდილი მეფოლადის აშჩეულოვის ბრიგადამ. ლაპოტის ყალიბება განახორციელა ხოდირიოვის ბრიგადამ.

ნავიგაცია ვოლგაზე

იაროსლავლი, 25 აპრილი. (საკ. ინ.). დღეს დილით იაროსლავლის სამდინარო ვაგზალს მოადგა მოსკოვის სახელობის არხის ფლოტის ფლაგმანი თბომავალი „იოსებ სტალინი“, რომელიც ქალაქ მოლოტოვში მიდის.

იაროსლავლიდან ასტრახანისაკენ პირველი გავიდა გემი „კომსომოლეცი“. გემზე არიან მგზავრები, აგრეთვე არის იაროსლავლის ქარხნების პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია კუბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროკვანძების მშენებლებისათვის.

★

ჩვენს მინდვრებსა და პლანტაციებში

თამბაქოს რგვა გაჩაღდა

ლაგოდეხი. (სპეც. კორ.). რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა წარმატებით გაჩაღეს თამბაქოს რგვა. კოლმეურნეთა ვალდებულებაა თამბაქო დარგონ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ საწარმოო ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ი. ნატროშვილი ხელმძღვანელობს, უკვე 6 ჰექტარი თამბაქო დარგო.

თამბაქოს დარგვაში ფართოდ არის გამოყენებული მექანიზაცია. ახალმა სარგავმა მანქანებმა გააადვილეს კოლმეურნეთა შრომა.

მექანიზატორთა წარმატება

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). გომის მტს-ის მოწინავე მექანიზატორებმა გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო ხვნისა და შაქრის ჭარხლის თესვის გეგმები. სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ვ. ქელეხსაშვილი ხელმძღვანელობს, ცვლის ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს.

მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ა. აკოფოვი) მუშაობს სოფელ ვაყის კოლმეურნეობის მინდვრებში. ბრიგადა მუშაობას ისე წარმართავს, რომ სიმინდის თესვა 1 მაისამდე დაამთავროს. ტრაქტორისტი ა. მოსიაშვილი ცვლაში თესავს 15 ჰექტარ სიმინდს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა.

სოფელ გომის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტი ყ. ნოზაძე დღეში 20 ჰექტარს ხნავს, ნაცვლად 15 ჰექტარისა. ტრაქტორისტი ა. მურჯიანელი ცვლის ნორმებს 130-140 პროცენტით ასრულებს.

კარტოფილის უხვი მოსავლისათვის

ახალციხე. („კომუნისტის“ კორ.). დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადებს, რომლებსაც ი. ჩიტაშვილი და ლ. კოპაძე ხელმძღვანელობენ, ყოველწლიურად კარტოფილის უხვი მოსავალი მოპყავთ. წელსაც საუკეთესოდ მოამზადეს კარტოფილის დასათესი ნიადაგი. თესვა წარმატებით მიმდინარეობს.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმებისას ჩიტაშვილისა და კოპაძის საწარმოო ბრიგადებმა პირობა დადეს საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 300 ცენტნერი კარტოფილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 135 ცენტნერისა. პირობის გასანაღდებლად აქ შემოქმედებითად შრომობენ.

ქართული ჩაი

ლანჩხუთი. (სპეც. კორ.). მალე ჩაის ფოთლის კრეფა გაჩაღდება. სოფელ აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი შ. ჩხაიძე ხელმძღვანელობს, მზად არის ფოთლის საკრეფად. ჩხაიძემ კარგი ინიციატივა გამოიჩინა და ჩაის კრეფის წესი 32 კოლმეურნეს შეასწავლა. ბრიგადა საუკეთესოდ უვლის ჩაის პლანტაციებს და იბრძვის იმისათვის, რომ წელს საბჭოთა სახელმწიფოს მისცეს 35.600 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სოფელ მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეშვიდე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ფ. კილაძე) ვალდებულება იკისრა 33 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 4.000 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი.

ჩაის პლანტაციები საუკეთესოდ აქვს მოვლილი სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის იმ რგოლს, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი გ. ბარამიძე ხელმძღვანელობს. რგოლმა პირობა დადო 3,36 ჰექტარ პლანტაციაში მოიყვანოს 22.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

მოწინავე კოლმეურნეობა

წყალტუბო. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ გეშტბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. ჩავჩიძე) თავის დროზე დაამთავრა ჩაის თესვა, პლანტაციების გადაბარვა, ბუჩქების გასხვა, სადრენაჟო ქსელის გაწმენდა, ნიადაგში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა. მოწინავე ბრიგადირები ერმანესეს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას პლანტაციების მოვლის საქმეში. შარშან ამ კოლმეურნეობამ მარტო ჩაით 1.797.082 მანეთი შემოსავალი მიიღო.



ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის ავტომაქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

სურათზე: რუხი თუჯის სამსხმელო საამქროს დგუშის რგოლების განყოფილების მექანიზებული უბანი.

ფოტო ვ. ზუნინისა (საკ. ინ. ფოტოქრონიკა)

სტალინგრადის ჰესის მშენებელთა დაბის კეთილმოწყობა

დაბა ვოლჟსკი (სტალინგრადის ოლქი), 25 აპრილი. (საკ. ინ.). ვოლგის მარცხენა ნაპირზე სტალინგრადის ზემოთ შიშველ ველში გაიზარდა ახალი ქალაქი, რომელსაც დაბა ვოლჟსკის უწოდებენ. აქ ცხოვრობენ სტალინგრადის ჰესის მშენებლები. ორ წელიწადში მისი ქვითკირის სახლების უბნები, მოასფალტებული ქუჩები და პროსპექტები, პარკები და სკვერები რამდენიმე კვადრატულ კილომეტრზე გადაიჭიმა. ბევრ სახლს კიდევ ხარაჩოები აქვს, სხვებს ახლა უყრიან საძირკველს.

სტალინგრადის ჰესის ახალგაზრდა მშენებლები გახდნენ საზოგადოებრივი ძალებით დაბის კეთილმოწყობისათვის მოძრაობის ინიციატორები.

საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის გასტროლები ბაქოში

ბაქო, 25 აპრილი. (საკ. ინ.). დღეს აქ აზერბაიჯანის ფილარმონიაში გამოსვლით დაიწყო გასტროლები საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა სტალინური პრემიის ლაურეატების ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით.

მაყურებლებში დიდი წარმატება ჰქონდა ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ხალხურ ცეკვებს.

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის პროფკავშირთა დელეგაცია

საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით 1 მაისის დღესასწაულზე დასასწრებად მოსკოვს ჩამოვიდა სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე ცაი შუ-ფანი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ი. შევჩენკო, საკავშირო პროფსაბჭოსა და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები. (საკ. ინ.).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

დიოდიერის მეტალურგიულ კომბინატს უწოდეთ ვ. ი. ლენინის სახელი მიეკუთვნა

ბუდაპეშტი, 25 აპრილი. (საკ. ინ.). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დააკმაყოფილა დიოშდიერის მეტალურგიული კომბინატის მშრომელთა კოლექტივის თხოვნა კომბინატისათვის საერთაშორისო პროლეტარიატის უკვდავი ბელადის დიდი ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ. ამიერიდან კომბინატს ეწოდება — ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი.

გაზეთები იუწყებიან, რომ ცნობამ კომბინატისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების შესახებ კოლექტივში უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მუშები კისრულობენ გადიდებულ საწარმოო ვალდებულებებს.

ბულგარეთის სახალხო მეურნეობის წარმატებანი

სოფია, 25 აპრილი. (საკ. ინ.). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შეაჯამა სახალხო მეურნეობის განვითარების 1953 წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულების შედეგები.

საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა მრეწველობამ მთლიანად შეასრულა 101,9 პროცენტით.

დიდი წარმატებანი მოიპოვა სოფლის მეურნეობამ. შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობები, სახელმწიფო სამიწათმოქმედო მეურნეობები და მტს-ები მიმდინარე წელს უფრო ორგანიზებულად და უკეთესი ტექნიკური აღჭურვილობით შეუდგნენ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს. საგაზაფხულო კულტურები უფრო მოკლე ვადებში დათესეს, ვიდრე შარშან.

უფრო განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

საქონლებრუნვა გასული წლის 1 კვარტალთან შედარებით 4,2 პროცენტით გადიდდა.

მიმდინარე წლის სამ თვეში გაიხსნა 312 სახელმწიფო და კოოპერაციული მაღაზია.

მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და ვაჭრობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 1952 წლის პირველ კვარტალთან შედარებით გადიდდა 70.755 კაცით. შრომის ნაყოფიერება გადიდდა 7 პროცენტით.

ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

პრაღა, 24 აპრილი. (საკ. ინ.). ჩეხოსლოვაკიის დეპუტატთა საკანონმდებლო ცნობით, გუშინ ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ ერთხმად მიიღო 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემოსავალს 435.207.287.000 კრონის რაოდენობით; გასავალს — 430.910.216.000 კრონის რაოდენობით, გასავალზე შემოსავლის გადამეტება შეადგენს 4.297.071.000 კრონს.

საგაზაფხულო თესვა პოლონეთში

ვარშავა, 24 აპრილი. (საკ. ინ.). მთელ პოლონეთში წარმატებით მიმდინარეობს მარცვლეული კულტურების თესვა. წინასწარი ცნობებით 21 აპრილისათვის პოლონეთში უკვე დათესილი იყო საგაზაფხულო ხორბლის, ქერისა და შვრიის დასათესად განკუთვნილი ფართობის 70 პროცენტზე მეტი. ხელსაყრელი ატმოსფერული პირობები, საოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია და საგაზაფხულო თესვისათვის თავის დროზე მოამზადება უზრუნველყოფს საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით შესრულებას.

მიმდინარე წელს სახელმწიფო სოფლის მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში ტრაქტორების რაოდენობა 8 ათასით გადიდდა. სახელმწიფო სოფლის მეურნეობებმა მოამზადეს 6 ათასი ტრაქტორისტი, ხოლო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა — 5.700-ზე მეტი ტრაქტორისტი.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით შესრულებას ხელს უწყობს შრომითი შეჯიბრება შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად მეტმა წილმა სამწარმოო კოოპერატივებმა თესვას ვადა შეამცირა 3-5 დღით. შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე 20 ათასზე მეტი სოფლის ერთპიროვნული გლეხები.

საბჭოთა აზერბაიჯანის ოცდამეცამეტე წლისთავი

ნ. ბ. ბეიდაროვი,

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ოცდაცამეტი წლის წინათ, 1920 წლის 28 აპრილს, აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიულ ბედში ძირეული მობრუნება მოხდა. აზერბაიჯანის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ ლენინ — სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და მისი გმირი წითელი არმიის ძმური დახმარებით, დაამხეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა, მოსპეს იმპერიალიზმის დაქირავებული მუსავატელების გამცემლური ხელისუფლება და მაღლა აფრიალეს საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილი წითელი დროშა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აზერბაიჯანში იმ სახელოვანი რევოლუციური ბრძოლის კანონზომიერი შედეგი იყო, რომელსაც ათეული წლების მანძილზე ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის მხარდამხარ ეწეოდნენ აზერბაიჯანის მუშათა კლასი და მთელი მშრომელი ხალხი თავისუფლებისათვის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის.

გაერთიანდნენ რა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთიანი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის — ურღვევ მრავალეროვან ოჯახში, აზერბაიჯანის მშრომელებმა ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად სოციალიზმის მსოფლიოისტორიულ გამარჯვებას მიაღწიეს. ყველა საბჭოთა სოციალისტურ ერთან ერთად აზერბაიჯანელი ხალხი აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

საბჭოთა აზერბაიჯანი მუსამადი საუკუნეა სოციალიზმის კამკაშა შუქურად დგას აღმოსავლეთის მიჯნაზე. თავისი არსებობით, მთელი თავისი წარმატებებით იგი ცხადყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობას ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე, ხალხთა მეგობრობის სოციალისტური იდეოლოგიის უპირატესობას იმპერიალისტ კოლონიზატორთა იდეოლოგიის წინაშე. საბჭოთა აზერბაიჯანის ოცდაცამეტი წლის ცხოვრება ცხადყოფს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა თანამრეგლობის ლენინურ, — სტალინური ეროვნული პოლიტიკის მძლავრ ცხოველმყოფელ ძალას.

საბჭოთა ხალხების ძმობა, მათი ურღვევი მეგობრობა ჩვენი საზოგადოების განვითარების მძლავრი მამოძრავებელი ძალა გახდა. აზერბაიჯანელი ხალხი ყოველდღიურად გრძნობს ამ მეგობრობის და უწინარეს ყოვლისა დიდ უფროს ძმასთან — რუს ხალხთან მეგობრობის სასარგებლო ნაყოფს. განმტკიცდა აზერბაიჯანელი ხალხის ტრადიციული ძმური კავშირი სომეხ და ქართველ ხალხებთან, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან.

საბჭოთა ხალხების სოციალისტური ურთიერთდახმარების მეოხებით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა შეძლეს უმოკლეს ისტორიულ ვადაში განვითარებინათ და უმაგალითო სიმაღლეზე აეყვანათ სახალხო მეურნეობა.

უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოხდა ნამდვილი ტექნიკური რევოლუცია ჩვენი ინდუსტრიის ძირითად დარგში — ნავთობის მრეწველობაში. აზერბაიჯანის ნავთობსარეწებში წარმოიშვა საბჭოთა ტექნიკის ისეთი შესანიშნავი მიღწევები, როგორიც არის ტურბინბურღი, დახრილი და მრავალპაურიანი ბურღვა, ნავთობის კომპრესორული ამოღების ავტომატიზაცია, ამოტუმბვის ძირეული გაუმჯობესება, მთელი რიგი გაუმჯობესებანი ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიაში. აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის მუშაკები ზღვაში თხევადი სათბობის ძიებისა და ამოღების პიონერები არიან.

მრეწველობის მძლავრი განვითარების შედეგად მთელი ახალნდელი პროდუქციის 95 პროცენტს იძლევიან ახალი და სავსებით რეკონსტრუირებული საწარმოები.

თუ რევოლუციამდე აზერბაიჯანი მრეწველობის განვითარების დონით ცოტა რამით განსხვავდებოდა, მაგალითად, თურქეთის, ან ირანისაგან, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენმა რესპუბლიკამ დიდად გაუსწრო არა მარტო ამ ორ ქვეყანას, არამედ საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ყოველ სხვა ქვეყანას.

შესანიშნავმა გარდაქმნებმა სრულიად შეცვალა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. აზერბაიჯანის სოფელში, სადაც ჯერ კიდევ მუსამადი საუკუნის წინათ განუყოფლად გაბატონებული იყო უფეოდალური პატრიარქალური ურთიერთობა, საიდაც გაჩანაგებულ უმიწაწყლო გლეხს ჩაგრავდა ხანი, ბეგი და მემამულე, გაიმარჯვა სოციალისტურმა საკოლმეურნეო წყობილებამ. რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობა აღჭურვილია თანამედროვე მანქანური ტექნიკით. აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობამ მარტო ამ უკანასკნელი წლების მანძილზე მიიღო ათასობით ტრაქტორი, კომბაინი, ბამბის საკრეფი და სხვა მანქანები.

საკოლმეურნეო წყობილებამ, მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევებისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვამ შექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმაგალითო აღმავლობის, კოლმეურნე გლეხობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების პირობები. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონის მხრივ აზერბაიჯანმა გაუსწრო ევროპის უაღრესად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ხოლო ძირითადი ტექნიკური კულტურის — ბამბის — მოსავლიანობით გადაჭარბა კაპიტალისტური სამყაროს ყოველ მებამბეობის ქვეყანას.

აზერბაიჯანის კოლმეურნე გლეხობამ, რომელიც ასრულებს პარტიისა და მთავრობის ისტორიულ მითითებას საკუთარი წარმოების პურით რესპუბლიკის უზრუნველყოფის შესახებ, მნიშვნელოვნად გაადიდა მარცვლეული კულტურების ნათესი და მოსავლიანობა. ამის შედეგად სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ორნახევარჯერ გადიდდა.

დიდად ვითარდება აზერბაიჯანელი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, მისი განათლება, მისი უმაღლესი სკოლა, რომელიც სპეციალისტების ეროვნულ კადრებს ამზადებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურისათვის. ნამდვილად აყვავდა მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. რესპუბლიკაში განხორციელებულია საყოველთაო საგალდებულო შვიდწლიანი სწავლა და მომდინარეობს მზადება ათი კლასის მოცულობით საყოველთაო სრული საშუალო განათლების შემოსაღებად.

ომისშემდგომ წლებში გაჩაღდა უდიდესი გაქანების ახალი მშენებლობა. შორს აღარ არის ის დრო, როცა მწყობრში ჩადგება უდიდესი ახალშენება — მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგური, რომელსაც ტოლი არ მოეპოვება აღმოსავლეთის არც ერთ საზღვარგარეთულ ქვე

სოციალისტური მშენებლობის დაწყების ლენინური გეგმა

ვ. ი. ლენინის ნაშრომის — „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ 35 წლისთავის გამო

ნაშრომს „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლენინის მემკვიდრეობაში. მას სამართლიანად შეგვიძლია ვუწოდოთ სამეურნეო მშენებლობის მანიფესტი, რადგან ამ ნაშრომში დასახულია ეკონომიკის დარგში სოციალიზმის გამარჯვების გზები და საშუალებანი. ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დაისახა ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის, სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის, ახალ, სოციალისტურ საწყისებზე შრომის ორგანიზაციის, ახალი, სოციალისტური დისციპლინის დამყარების ამოცანები. „სოციალისტური მშენებლობის ყველა ეს საკითხი, — წერდა ი. ბ. სტალინი, — ახალ, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა შექმნის საკითხები გააშუქა ლენინმა თავის შესანიშნავ ნაშრომში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ (საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 269).

ლენინის შრომა გამოქვეყნდა 1918 წლის აპრილში. ეს იყო განსაკუთრებით პასუხსაგები პერიოდი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებაში. 1918 წლის მარტის დამდეგს საბჭოთა მთავრობამ, მიუხედავად ტროცკის, ბუხარინისა და მათი თანამზრახველების პროვოკაციული მოქმედებისა, შეძლო დაედო ბრესტის ზავი გერმანიასთან და ამ გზით გამოსულიყო იმპერიალისტური ომიდან.

ლენინმა იდეურად გაანადგურა ვრცილბურჟუაზიული ანტიმარქსისტული „თეორიები“ ესერების, მენშევიკებისა და „მემარცხენე კომუნისტებისა“, რომლებიც გამოდიოდნენ სოციალისტური მშენებლობის ორგანიზაციის წინააღმდეგ, იცავდნენ კულაკს, ზარმაცს, სპეკულანტს და ცდილობდნენ გაევრცელებინათ ტროცკისტული შეხედულებანი რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ. მუშათა კლასის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინმა გენიალურად განავითარა და დაასაბუთა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის მშენებლობის დიადი პროგრამა.

* * *

ლენინის შრომაში ჩამოყალიბებულია პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული ამოცანა — სოციალისტური საზოგადოების აშენება. ლენინს პროლეტარიატის დიქტატურა მიიჩნდა მმართველობის საშუალებად, ახალი წარმოებითი ურთიერთობის ორგანიზაციის საშუალებად.

ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციას შორის განსხვავების ანალიზით ლენინმა ცხადყო საბჭოთა სახელმწიფოს როლის ძირეული განსხვავება ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლისაგან. ბურჟუაზიულ რევოლუციებში, აღნიშნავს ლენინი, მშრომელთა მთავარი ამოცანა იყო შეესრულებინათ უარყოფითი ან დამანგრეველი მუშაობა ფეოდალიზმის, მონარქიის, შუასაუკუნეობრიობის მოსასპობად. ახალი საზოგადოების შესაქმნელად დადებით შემოქმედებით მუშაობას ასრულებდა მოსახლეობის შეძლებული ბურჟუაზიული უმცირესობა, ამას კი წინააღმდეგობას უწევდნენ მუშები და უღარიბესი გლეხები.

ბურჟუაზიული რევოლუციისაგან განსხვავებით, აღნიშნავს შემდეგ ლენინი, სოციალისტურ რევოლუციაში პროლეტარიატის და მის ხელმძღვანელობაში მყოფი უღარიბესი გლეხობის მთავარი ამოცანაა დადებითი ანუ შემოქმედებითი მუშაობა ახალი, სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად, ახალი, სოციალისტური ეკონომიკის შესაქმნელად, რომელიც მოიცავს ათეულ მილიონობით ადამიანის არსებობისათვის საჭირო პროდუქტების გეგმაზომიერ წარმოებასა და განაწილებას. აქედან გამომდინარეობს პროლეტარული სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის საქმეში.

ი. ბ. სტალინმა შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ჩამოაყალიბა დებულებანი საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული როლის შესახებ. ი. ბ. სტალინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული როლი აიხსნება ორი გარემოებით: ჯერ ერთი, იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას კი არ უნდა შეეცვალა ექსპლოატაციის ერთი ფორმა სხვა ფორმით, როგორც ეს იყო ძველ რევოლუციებში, არამედ უნდა მოესპო ყოველგვარი ექსპლოატაცია: მეორეც, იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მეურნეობის რაიმე მზა ჩანასახების უქონლობის გამო, მას უნდა შეექმნა, ასე ვთქვათ, „ცარიელ ადგილზე“ მეურნეობის ახალი, სოციალისტური ფორმები.

ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ამოცანა შეასრულა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ემყარებოდა საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკურ კანონს.

* * *

აფასებდა რა სოციალისტური რევოლუციის პირველი პერიოდის შედეგებს, ლენინი ამბობდა, რომ, შევქმენით რა სახელმწიფოს ახალი, საბჭოთა ტიპი, ჩვენ გადავჭრით ძნელი ამოცანის მხოლოდ პირველი ნაწილი. მთავარი სიძნელე კი ეკონომიკურ დარგშია: საჭიროა ყველგან განვახორციელოთ პროდუქტების წარმოებისა და განაწილების უსასტიკესი აღრიცხვა და კონტროლი, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, საქმით განვაზოგადოთ წარმოება.

სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაცია მოითხოვდა სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლის მტკიცე ცენტრალიზაციას. ცენტრალიზაციისათვის ბრძოლა ამავე დროს იყო ბრძოლა ვრცილბურჟუაზიული სტიქიის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ბატონობდა და მოქმედებდა ყოველგვარი ცენტრალიზაციის წინააღმდეგ, სახელმწიფოს მხრივ ყოველგვარი აღრიცხვისა და კონტროლის წინააღმდეგ.

ვრცილბურჟუაზიულ სტიქიას სოციალური ფესვები გადგმული ჰქონდა ვრცილ სასაქონლო წარმოებაში, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. სტატიაში „„მემარცხენე“ ბავშვობისა და ვრცილბურჟუაზიულობის შესახებ“, რომელიც უახლოვდება ნაშრომს „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, ლენინმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ღრმა ანალიზის საფუძველზე გამოაკლინა საბჭოთა რესპუბლიკაში მაშინ არსებული ხუთი ტიპის საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობა:

1) პატრიარქალური, ესე იგი მნიშვნელოვანწილად ნატურალური, გლეხური მეურნეობა; 2) ვრცილი სასაქონლო წარმოება (ამას მიეკუთვნება იმ გლეხების უმრავლესობა, რომელნიც პურს ყიდიან); 3) კერძო-სამეურნეო კაპიტალიზმი; 4) სახელმწიფო კაპიტალიზმი; 5) სოციალიზმი.

ლენინმა ცხადყო, რომ ვრცილ გლეხური ეკონომიკიდან შეუძლებელია უშუალოდ გადასვლა სოციალიზმზე. ამისათვის საჭიროა მთელი რიგი შუალედი რგოლები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება.

მილიონობით ვრცილ საქონელმწარმოებელთან, განსაკუთრებით გლეხობასთან, პროლეტარული ხელისუფლების ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემებს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში წარმოების სოციალისტური წესის მომზადების თვალსაზრისით. ვ. ი. ლენინმა დეტალურად განიხილა ეს პრობლემები თავის შრომაში. მან დაასახა მთელი რიგი ეკონომიკური ღონისძიებანი, რომლებმაც შესაძლებლობა მისცეს პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს დაეწყოთ გეგმაზომიერი მუშაობა ისეთი ეკონომიკური პიროობების შესაქმნელად, რომელთა არსებობისას შესაძლებელი იყო ვრცილგლეხური წარმოება გადაგვეყვანა განვითარების სოციალისტურ რელსებზე და დაგვეხშო კაპიტალიზმის განვითარებისა და წარმოშობის ყველა გზა.

ი. ბ. სტალინმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივლისის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში მოგვცა ლენინის ნაშრომის ამომწურავი დახასიათება ამ მხრივ. „უმართებულო იქნებოდა ფიქრი, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — რომ სსრ კავშირში პროლეტარულმა დიქტატურამ თავისი ეკონომიური მუშაობა სამხედრო კომუნიზმით დაიწყო. ზოგიერთი ამხანაგი ამ პოზიციას ადგება. მაგრამ ეს პოზიცია სწორი არ არის. პირიქით, პროლეტარულმა დიქტატურამ ჩვენში თავისი აღმშენებლობითი მუშაობა დაიწყო არა სამხედრო კომუნიზმით, არამედ ეგრეთწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლების გამოცხადებით. ყველასათვის ცნობილია ლენინის 1918 წლის დამდეგს გამოცემული ბროშურა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების“ შესახებ, სადაც ლენინმა მოგვცა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპების პირველი დასაბუთება. მართალია, იგი, ეს პოლიტიკა, დროებით შეწყვეტილ იქნა ინტერვენციის ვითარებით, და საჭირო გახდა დავბრუნებოდით მას მხოლოდ სამი წლის შემდეგ, როცა ბოლო მოვუღეთ ომსა და ინტერვენციას. მაგრამ ის, რომ პროლეტარული დიქტატურისათვის სსრ კავშირში საჭირო გახდა დაბრუნებოდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებს, რომლებიც ჯერ კიდევ 1918 წლის დამდეგს გამოცხადდა, — ეს გარემოება ცხადად მოწმობს იმას, თუ რით უნდა დაიწყოს პროლეტარულმა დიქტატურამ თავისი აღმშენებლობითი მუშაობა რევოლუციის მეორე დღეს და რაზე უნდა დაამყაროს თავისი აღმშენებლობითი მუშაობა, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში მივიღებთ **ეკონომიური** ხასიათის მოსაზრებებს“ (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 11, გვ. 161).

ნეპის პრინციპებს საფუძვლად უდევს ის, რომ კაპიტალის წინააღმდეგ წითელგვარდიული იერიშიდან, „მსუბუქი კავალერიის“ თავდასხმებიდან პარტია, ლენინის მითითებით, გადავიდა სოციალისტური წყობილების მშენებლობაზე „მძიმე არტილერიის“ დახმარებით, როცა ბურჟუაზიის ჩახშობის მეთოდები შევსებულ და გაძლიერებულ იქნა სახალხო მეურნეობის მართვის მეთოდებით, როცა პარტიამ მოაწყო ეკონომიური შეტევა ვრცილბურჟუაზიული სტიქიისა და მის მიერ წარმოშობილი კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, გამოიყენა ბურჟუაზიული ეკონომიკის ისეთი ინსტრუმენტები, რომგორიც არის საქონლის წარმოება და საქონლის მიმოქცევა, ფული, საბანკო ურთიერთობა.

სწორედ ეს იყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის არსი.

ი. ბ. სტალინს ეკუთვნის უდიდესი დამსახურება მრავალდარგოვანი ეკონომიკის პირობებში სოციალიზმის აშენების ლენინური სტრატეგიული გეგმის განზოგადებისა და განვითარების საქმეში. ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ი. ბ. სტალინმა მოგვცა ამ სტრატეგიული გეგმის გენიალური ფორმულა. მან აღნიშნა, რომ პარტიამ ხელიდან არ უნდა გაუშვას ხელსაყრელი პირობები ძალაუფლების ხელში ასაღებად. პარტია არ უნდა დაელოდოს იმ მომენტს, ვიდრე კაპიტალიზმი დეძლებდეს ვრცილ და სამუალო ინდივიდუალურ მწარმოებელთა მრავალმილიონიანი მოსახლეობის გაჩანაგებას. აღიებს რა ძალაუფლებას, მოახდენს რა წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაციას მრეწველობაში და გამოაცხადებს რა მათ საერთო-სახალხო კუთვნილებად, პარტიამ თანდათანობით უნდა გააერთიანოს ვრცილი და საშუალო ინდივიდუალური მწარმოებლები საწარმოო კოოპერატივებში, ესე იგი მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, ყოველნაირად განავითაროს ინდუსტრია და შეუქმნას კოლმეურნეობებს მსხვილი წარმოების თანამედროვე ტექნიკური ბაზა.

ამხანაგმა სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის, სადაც კი არის ვრცილ და საშუალო მწარმოებელთა მეტად თუ ნაკლებად მრავალრიცხოვანი კლასი, განვითარების ეს გზა ერთადერთი შესაძლო და მიზანშეწონილი გზაა სოციალიზმის გასამარჯვებლად.

* * *

ახალ, სოციალისტურ საფუძველზე სახალხო მეურნეობის ორგანიზაცია მოითხოვდა საბჭოთა საწარმოებში შრომის ორგანიზაციის საკითხების ძირეულ გადაწყვეტას.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, მსხვილი ინდუსტრიის მატერიალური საფუძვლის უზრუნველყოფას, სათბობის, რკინის წარმოების, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის განვითარებას. მხოლოდ მსხვილი მრეწველობა და, უწინარეს ყოვლისა, წარმოების სამუალებათა მწარმოებელი მრეწველობა შეადგენს სოციალიზმის მატერიალურ ბაზას.

ლენინმა თეორიულად დაასაბუთა, რომ საჭიროა შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდება როგორც კაპიტალიზმთან შედარებით უმაღლესი სოციალურ-ეკონომიკური წყობილების შექმნის მთავარი პირობა. ლენინის ნაშრომი ფასდაუდებელი იარაღია შრომის სოციალისტური ორგანიზაციისათვის ბრძოლაში. ნაშრომში ჩამოყალიბებულია ამ ბრძოლის ძირითადი პრინციპები. ეს არის საყოველთაო სავალდებულო შრომა, ბრძოლა მაღალი სოციალისტური დისციპლინისათვის შრომითი პროცესების დროს, ერთმმართველობის პრინციპის გადაჭრით განხორციელება, გათანაბრების მოსპობა შრომის ანაზღაურებაში, მაღალნაყოფიერი შრომის მატერიალური სტიმულების შექმნა, ხელფასის შეფარდება საწარმოს მუშაობის საერთო შედეგებთან, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, სოციალისტური შეჯიბრების ყოველი ღონისძიებით განვითარება.

ლენინმა აღმოაჩინა სოციალისტური შეჯიბრება როგორც კომუნისტური შრომის ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა, რომლის საშუალებითაც მშრომელებს შეუძლიათ გარდაქმნან საზოგადოება ახალ, სოციალისტურ საფუძვლებზე.

სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ისტორიამ ცხადყო, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებას, როგორც მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური აქტივობის საფუძველზე სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტურ მეთოდს, როგორც მასების საქმიანი რევოლუციური თვითკრიტიკის გამოხატულებას, რომელიც ეყრდნობა მილიონობით მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივას. სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ეტაპია ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული მძლავრი სტახანოვური მოძრაობა.

* * *

35 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ლენინმა დაწერა შრომა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“. მაგრამ ამჟამადაც, ახალ ისტორიულ ვითარებაში, ამ ნაშრომს არ დაუკარგავს თავისი აქტუალური მნიშვნელობა როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ახლახან დაადგნენ განვითარების სოციალისტურ გზას.

იდეების ძალასა და ცხოველმყოფელობას ამოწმებს კაცობრიობის პრაქტიკა, მისი ისტორია. ლენინის იდეები უკვდავია, რადგან ისინი სწორია, რადგან ისინი ემყარებიან უდიდესი ისტორიული გამოცდილების განზოგადებას და გამოხატავენ წარმოების სოციალისტური წესის განვითარების უაღრესად არსებითს მოთხოვნილებებს და მშრომელთა უაღრესად ღრმა და ძირითად ინტერესებს.

ა. საზანოვი.

თბილისი. სასოფლო-სამეურნეო იარაღმანქანების ქარხნის კოლექტივმა აითვისა, და სერიულად გამოუშვა თუთის ტოტების საჭრელი მაკრატლები. სურათზე: საამქროს უფროსი გ. სარჩიმელია (მარჯვნივ) და სტახანოველი ზეინკალი დ. ბერია ათვალიერებენ მზა პროდუქციას გაგზავნის წინ.

ფოტო გ. ზარიძისა

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს 20 წელი შეუსრულდა

ქუთაისი. („კომუნისტის“ კორ.). ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა არსებობის 20 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია პედაგოგთა კადრების აღზრდის საქმეში. მან სამშობლოს მისცა 7 ათასამდე პედაგოგი, რომელთა უმრავლესობა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში პირნათლად ასრულებს ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო ამოცანას. მარტო ქალაქ ქუთაისის სკოლებში მუშაობს ინსტიტუტის 400-მდე კურსდამთავრებული.

ინსტიტუტი თვალსაჩინოდ გაიზარდა და განმტკიცდა. ამჟამად ინსტიტუტის 7 ფაკულტეტზე დაუსწრებელი განყოფილების ჩათვლით 3 ათასამდე სტუდენტი ირიცხება. პროფესორ-მასწავლებლთა და სასწავლო დამხმარე პერსონალის შტატი გაზრდილია 200-მდე. შექმნილია 28 კათედრა, 5 ლაბორატორია, 25 კაბინეტი. ფუნდამენტური ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი 200 ათასამდე ტომს შეადგენს. ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტი 10 მილიონ მანეთს აღემატება.

სასწავლო-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად, ინსტიტუტის კათედრების უმრავლესობამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდის საქმე. ინსტიტუტის დაარსებიდან დღემდე მეცნიერების დოქტორისა და კანდიდატის ხარისხი მოიპოვა 70 კაცმა.

1939 წელს დაარსდა ინსტიტუტის გამომცემლობა, რომელმაც დღემდე გამოსცა შრომათა კრებულის 10 ტომი. მათში დაბეჭდილია მეცნიერ მუშაკთა 200-მდე სტატია.

ინსტიტუტში ფართოდ აღინიშნა უმაღლესი სასწავლებლის 20 წლისთავი. მოეწყო მრავალგანყოფილებიანი გამოფენა, ჩატარდა სამეცნიერო სესია და სხვ.

რაიონული თეატრების სპექტაკლების დათვალიერება

საქართველოს თეატრალური საზოგადოება სისტემატურად აწყობს ახალი სპექტაკლების დათვალიერებას საქართველოს ქალაქებში. ამას წინათ ასეთი დათვალიერება მოეწყო სტალინირში, ქუთაისსა და ჭიათურაში.

სტალინირში საზოგადოებამ მიაგლინა ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. თაყაიშვილი, მწერალი რ. ქორქია და თეატრის მცოდნე ა. ბურთიკაშვილი.

კოსტა ხეთაგუროვის სახელობის თეატრმა ბრიგადას აჩვენა სამი სპექტაკლი — ქართულ ენაზე მ. ბარათაშვილის „მარინე“, ს. შჩეგლოვის „გამოქცევა“ და ოსურ ენაზე მ. ჯიოევის პიესა „ილიკო ფუხაევი“.

დათვალიერების შემდეგ დადგმების კრიტიკული გარჩევით გამოვიდა ა. თაყაიშვილი. რ. ქორქიამ მსახიობთა კოლექტივისათვის გააკეთა მოხსენება „ამხანაგ სტალინის სახე ქართულ დრამატურგიაში და სცენაზე“, ა. ბურთიკაშვილმა — „მსახიობის მუშაობა როლზე და სახის შექმნაზე“. გარდა ამისა, სტალინირის კულტურის სახლში თვითმოქმედი წრეებისათვის წაკითხულ იქნა მოხსენებები „მცირე ფორმის დრამატურგია“ და „თვითმოქმედი წრეების ამოცანები“.

მეორე შემოქმედებითი ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორი ა. ფალავა, თეატრალური მუზეუმის სწავლული მდივანი ს. გერსამია და ნ. კვლაშვილი, მივლინებულ იქნენ ქუთაისსა და ჭიათურაში. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრმა მათ უჩვენა — „ქარიშხლის წინ“, „ამქვეყნიური სამოთხე“, „გაზაფხულის ღილა“, „მრანგული“ და „ახალგაზრდა მასწავლებელი“, ჭიათურის თეატრმა — „ოთარაანთ ქვრივი“, „ალანის ოჯახი“ და „გაზაფხულის ღილა“.

ორივე თეატრში სპექტაკლების განხილვის შემდეგ პროფესორმა ა. ფალავამ გააკეთა მოხსენებები „ი. ბ. სტალინი თეატრალური ხელოვნების შესახებ“. კულტურის სახლებში მოეწყო ბრიგადის წევრთა ლექციები.

უახლოეს ხანებში თეატრალური საზოგადოება აწყობს სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლების დათვალიერებას.

ჯურისჯული სეზონისათვის მზადება თბილისში

კურორტი თბილისი (ქლუხორის რაიონი) ფართოდ არის ცნობილი. ზაფხულობით აქ მოდის ათასობით მშრომელი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან. მათ იზიდავს ულამაზესი ბუნება, საუკეთესო ჰაერი.

წელს თბილისის ტურისტული ბაზა მუშაობას დაიწყებს 1 ივნისიდან. ბაზა გაცხოველებით ემზადება სეზონისათვის. მიმდინარეობს შენობების, ინვენტარის, ავტოტრანსპორტის რემონტი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტურისტული აღჭურვილობის მომარაგებას. ბაზამ ცენტრალური ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოსაგან უკვე მიიღო კარვები, ბაგირები, ყინულსაჭრელები და სხვ.

მიმდინარეობს კვების პროდუქტების მომარაგება, რომელთა შესანახად ბაზამ დამზადა ათობით ტონა ყინული.

5 მაისიდან დაიწყება ბაზის ინსტრუქტორთა მომზადება და სასწავლო-საწვრთნელი ლაშქრობები, რაც უნდა დამთავრდეს სეზონის გახსნისათვის.

საბჭოთა მთავრობის პასუხი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის წერილზე

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა 27 აპრილს საბჭოთა მთავრობის პასუხი გაუგზავნა პარიზში ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიას, რომელმაც სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს მიმართა წინადადებით დაიწყონ მოლაპარაკება ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების მიზნით.

ქვემოთ ქვეყნდება საბჭოთა მთავრობის პასუხის ტექსტი:

„ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიას:

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის (საფრანგეთი), იოზეფ ვირტს (გერმანია), პიეტრო ნენის (იტალია), იზაბელა ბლუმს (ბელგია), გენერალ ბუკსბაუმს (ბრაზილია), ჩენ შენ-იუს (ჩინეთი), პიერ კოტს (საფრანგეთი), ნიკოლოზ ტიხონოვს (სსრ კავშირი), ილია ერენბურგს (სსრ კავშირი), პასტორ ენდიკოტს (კანადა), მონიკა ფელტონს (ინგლისი), ჯ. ბ. ფიგინსს (ინგლისი), პასტორ ფორბეკს (ნორვეგია), ივაშკევიჩს (პოლონეთი), გენერალ ხარას (მექსიკა), გორო ხანის (იაპონია), კიტჩლუს (ინდოეთი), მაო დუნს (ჩინეთი), მა ინ-ჩუს (ჩინეთი), სეზა ნაბრავის (ეგვიპტე), ჯუზეპე ნიტის (იტალია).

პატივცემულო ბატონებო,

საბჭოთა მთავრობამ მიიღო თქვენი ამა წლის 27 მარტის დეპეშა, რომელიც, კომისიის დავალებით, გამოგზავნეს დოქტორმა იოზეფ ვირტმა, პიეტრო ნენიმ, ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ და ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვა, რომელშიც წამოყენებულია წინადადება, რომ დაიდოს მშვიდობის პაქტი საბჭოთა კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის.

სსრ კავშირის მთავრობა, ერთგული მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის თავისი პოლიტიკისა, სოლიდარობას უცხადებს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვას და მასში მოყვანილ წინადადებას.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს ისეთი სადავო ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებულ ქვეყნებს შორის შეთანხმების საფუძველზე. ამის შესაბამისად საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მუდამ მზად არის ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოთა მთავრობებთან საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების მაღალი მიზნების მიღწევისათვის.

საბჭოთა მთავრობის დავალებით

ვ. მოლოტოვი,

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი“.

ჩაის ფოთლის კრეფას მოუმზადებელი ხვდებიან

ბათუმელმა მეჩაიეებმა, როცა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას აფორმებდნენ, პირობა დასდეს წელს მოკრეფონ და საბჭოთა სახელმწიფოს ჩააბარონ 5.000 ტონა ფოთოლი, რაც 600 ტონით აღემატება შარშანდელ მოსავალს. ეს ადიდებს მეჩაიეთა და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობას ჩაის კრეფის სეზონისათვის სანიმუშოდ მომზადების საქმეში.

ამ მდგომარეობას არ ითვალისწინებს ზოგიერთი უდარდელი მუშაკი. ასეა, მაგალითად, ლენინის, პარიზის კომუნის, ტიმოშენკოს სახელობის კოლმეურნეობებში. სოფელ ჩაისუბნის სტალინის სახელობის, ფერიეს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობა „განთიადში“ ნაკლებად ზრუნავენ ჩაის ბუჩქების მოვლისათვის, არ ითვალისწინებენ, რომ ეს შეამცირებს ფოთლის მოსავალს. საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩენა იმითაც აიხსნება, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა, სუსტია შრომის დისციპლინა. კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში შრომისუნარიან კოლმეურნეთა ერთი ნაწილი არ არის გამოყენებული საკოლმეურნეო შრომაში. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სხვა კოლმეურნეობებშია. ზოგიერთ კოლმეურნეობას აკლია საკრეფი კალათი, გოდორი, გადასაზიდი ყუთები, სათანადო ზომები არ არის მიღებული თავშესაფარი ფარდულების მოწყობისათვის.

განსაკუთრებით ჩამორჩა მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე თ. ჯინჭარაძე). ფარდულები აკლია სოფელ ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობას. ჩაის კრეფისათვის მზადების საქმეში უკეთესი მდგომარეობა არ არის თხილნარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ჩამორჩენაა ჩაის მიმღები პუნქტების მომზადებაშიც. ცუდი მდგომარეობაა მახინჯაურის დამამზადებელ პუნქტში. შენობა შეუკეთებელია, სახურავიდან წვიმა ჩადის. ანალოგიურ მდგომარეობაშია ერგეს, ჭარნალის და მახოს მიმღები პუნქტებიც. წელს საჭიროა ფაბრიკიდან დაშორებულ ისეთ სოფელში, როგორიც არის ყოროლისთავი, გაიხსნას მიმღები პუნქტი. ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ჩაის ტრესტის ხელმძღვანელობამ.

ჩაის კრეფის დავალებათა წარმატებით შესრულებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნე ქალთა შრომის გამოყენებას. წელს კოლმეურნეობებში 29 საბავშვო ბაღა უნდა მოეწყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმე ჯერ არავის გახსენებია.

აჭარაში თბილი, მზიანი დღეები დადგა. მალე დაიწყება ჩაის კრეფა. პარტიის ბათუმის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ შემჩნეულ ნაკლთა აღმოფხვრისათვის.

დ. პაიჭაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახალი ვენახები

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). რაიონში სერიოზული ყურადღება ექცევა მევენახეობის განვითარებას. მიმდინარე წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე კოლმეურნეობებში გაშენდება 40 ჰექტარი ახალი ნამყენი ვენახი.

სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე გააშენა ორი ჰექტარი ნამყენი ვაზი, ზემო ოსიაურის კოლმეურნეობამ — 1 ჰექტარი, გვერდისუბნის კოლმეურნეობამ — 2 ჰექტარი, ბეკმის — 1 ჰექტარი და სხვ.

რაიონში მწარე სანერგეზე დამყნობილია 107 ათასი ძირი ვაზის ლერწი. სანერგეში წელს პირველად გაშენდა აგრეთვე სამამანური ჯიშის — ჩინური ვაზის 300 ათასი ძირი ლერწი.

საგაზაფხულო ხვნა და თესვა კოლმეურნეობებში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს 1958 წლის 25 აპრილის ცნობებით

რაიონები	ნიადაგის მუშავების შესრულება პროცენტებით	თესვის გეგმის შესრულება პროცენტებით
ახალქალაქი	31,2	30,2
ბოგდანოვკა	17,1	20,9
ახალციხე	157,2	52,5
ადიგენი	44,5	31,4
ასპინძა	116,7	44,2
ხაშური	38,4	48,3
ქარელი	66,6	64,4
გორი	92,8	72,7
კასპი	63,4	66,7
ბორჯომი	18,1	13,7
წალკა	30,4	49,9
დუშეთი	45,0	38,1
თეძრი წყარო	62,0	49,2
თიანეთი	51,9	36,7
გურჯაანი	82,4	91,1
კაჭრეთი	104,1	100,1
სიღნაღი	101,2	102,1
წითელწყარო	100,0	100,1
თელავი	62,7	53,4
ახმეტა	95,2	76,4
ყვარელი	73,3	67,1
ლაგოდეხი	106,1	57,3
გარეჯიანი	106,7	82,1
მცხეთა	61,2	62,0
გარდაბანი	100,8	72,7
მარნეული	94,2	75,9
ბოლნისი	107,7	81,9
საგარეჯო	109,6	98,5
დმანისი	51,4	44,6
სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი	32,5	26,1
აბაშა	79,5	13,1
ცხაკაია	62,8	11,4
გეგეჭკორი	71,8	31,9
ზუგდიდი	68,7	3,5
ხობი	76,7	16,3
წალენჯიხა	84,6	27,1
ჩხოროწყუ	86,9	33,5
მახარაძე	57,8	12,2
ლანჩხუთი	75,5	22,6
ჩოხატაური	66,9	25,7
ფოთი	74,3	9,5
ქუთაისი

საბჭოთა ადამიანების დიადი თანამეგობრობა

★

...ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა ძვეყნის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს განმტკიცება. ჩვენი ძვეყნის ხალხთა მეგობრობის პირობებში ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი, არც შინაური, არც გარეშე მტერი.

გ. მ. მალენკოვი.

★ ★

მოძმე რესპუბლიკის დიდ მშენებლობაზე

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დასაწყისიდან, 1946 წლიდან აზერბაიჯანელი მშრომელები დიდი სტალინის მითითებით, საბჭოთა მთავრობის დახმარებით და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგნენ თავიანთი საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას — შუა აზერბაიჯანის თვალუწვდენი მოუსავლიანი სივრცეების, გაუდაბნოებული ტრამალების სარწყავი სისტემის აგებას. სამუშაოთა წარმოებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ჩამოყალიბდა სამშენებლო ორგანიზაცია „მტკვარ-არაქსწყალმშენი".

აზერბაიჯანის ბუნების გარდაქმნის ამ დიდი სტალინური მიზანდასახულობის განხორციელებაში მთავარი როლი მიკუთვნებული აქვს მდინარე მტკვრის კალაპოტის წყლის რესურსებს. ყველაზე ხელსაყრელ ადგილად, საიდანაც მდინარის წყალი ველზე უნდა გადაუშვან, შერჩეულ იქნა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მტკვრის მდინარების ის რაიონი, რომელიც ქალაქ მინგეჩაურის მახლობელ მიდამოებს წარმოადგენს. აქ მტკვრის კალაპოტი ორივე მხრიდან შემოზღუდულია კაგკასიონის მცირე კალთებით.

სპეციალისტებმა ხელსაყრელად მიიჩნიეს მტკვრისათვის გზის გადაკეტვა იქ, სადაც ხეობა ვიწროვდება. ამით შესაძლებელი გახდა ხელოვნური წყალსაცავის შექმნა, წყლის ისეთი მარაგის დაგროვება, რომ გარკვეულ ფართობთა მოსარწყავადაც ყოველთვის იყოს წყლის მარაგი და მდინარის დინების შემდგომი რეგულირების საკითხიც დადებითად გადაიჭრას.

ამ უზარმაზარი წყალსაცავიდან სარწყავი წყალი გაშვებულ იქნება ორი მიმართულებით: მარცხენა მხრიდან — შირვანის ველის მოსარწყავად და მარჯვენა მხრიდან, ე. წ. ზემო ყარაბაღის არხით — მტკვრის მარჯვენა ტრამალების მოსარწყავად. წყალსაცავის კაშხალთან, რომელიც დაშლამვის წესით შენდება, იმავე 1946 წელს შეუდგნენ მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის — მინგეჩაურჰესის მშენებლობას.

წყალსაცავის ერთ მხარეს შარშან დაიწყეს წყალსაცავიდან ზემო ყარაბახის სარწყავ არხში წყლის მიმღებ ნაგებობათა მშენებლობა. ამ ნაგებობათა უბანი წარმოადგენს „მტკვარ-არაქსწყალმშენის" სამუშაოთა ერთ-ერთ საინტერესო და რთულ კვანძს. იგი სხვადასხვა რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათაგან შედგება. ასეთია — წყლის მიმღები ნაგებობა მიმმართველი განყოფილებით, შემდეგ საგრძნობლად გრძელი გვირაბი, სადაც წყალმა დიდი სისწრაფით უნდა იდინოს, გვირაბიდან გამოსვლისას წყლის ვარდნის სიმძლავრის შთანმთქმელი ნაგებობა და გარკვეულ მანძილზე გაყვანილი ღია არხი.

ამ რთული ჰიდროტექნიკური კვანძის მშენებლობა იკისრა საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის კოლექტივმა, რომელმაც სახელი გაითქვა საქართველოს ჰიდროენერგეტიკურ ნაგებობათა მშენებლობაში, კერძოდ სამგორში.

ახლა საქართველოს ჰიდროენერგომშენებლები „მტკვარ-არაქსწყალმშენის" ამ უბანზე მუშაობენ მინგეჩაურელ მშენებელთა მეზობლად და მათთან ერთად მონაწილეობენ აზერბაიჯანში ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური მიზანდასახულობის განხორციელებაში. საქართველოს ჰიდროენერგომშენებელთა მონაწილეობა, მათი შრომითი წვლილი ამ დიდ საქმეში წარმოადგენს ხალხთა სტალინური მეგობრობის სიმტკიცის ბრწყინვალე დადასტურებას.

„კომუნისტის" კორესპონდენტმა ინახულა აზერბაიჯანელ თანამოძმეებთან დიდი შრომითი მისიის შესასრულებლად წასული საქართველოს ჰიდროენერგომშენებლები, მათთან ერთად მინგეჩაურჰესის მშენებლები. მათი მუშაობის შესახებ მასალებს გთავაზობთ ამ გვერდზე.

მინგეჩაურის ჰიდროკვანძი

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათქვამია: „ამუშავდეს დიდი ჰიდროელექტროსადგურები, მათ შორის კუიბიშევის 2.100 ათასი კილოვატი სიმძლავრისა, აგრეთვე კამისა, გორკისა, მინგეჩაურისა, უსტ-კამენოგორსკისა და სხვები 1.916 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრით..."

როგორი იქნება მინგეჩაურის ჰიდროკვანძი, რა მნიშვნელობა ექნება მის ამუშავებას, როგორ მიმდინარეობს ამჟამად მშენებლობა, — ამის შესახებ მშენებლობის სამმართველოში „კომუნისტის" კორესპონდენტს შემდეგი განმარტებები მისცეს:

— მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგური ყველაზე მძლავრი იქნება მთელ ამიერკავკასიაში, იგი იმდენ იაფ ელექტროენერგიას მოგვცემს, რომ შესაძლებელი იქნება აზერბაიჯანის მრეწველობისა და ტრანსპორტის, მთელი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და გადანამეტი ენერგიის მიწოდება საქართველოსა და სომხეთის მომძმე რესპუბლიკებისთვისაც. ამ სადგურის ამუშავების შედეგად უფართოესი პერსპექტივები ისახება აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის შემდგომი განვითარების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად რწყვის მექანიზაციის დარგში.

მინგეჩაურის ჰიდროკვანძი ღირსშესანიშნავია საინჟინრო ხელოვნების თვალსაზრისითაც. აქ პირველად შენდება დიდგაბარიტიანი კაშხალი საბჭოთა ინჟინრების მიერ გაუმჯობესებული წესით — დაშლამვის მეთოდით. ეს კაშხალი მდინარეს გზას უღობავს და მრავალ მილიარდ კუბმეტრ წყალს შეაკავებს. კაშხალის მშენებლობა ხორციელდება მიწისმწოვი აგრეგატებისა და ჰიდრომონიტორების საშუალებით უესტაკადოდ. კაშხალის მშენებლები დაშლამვის საშუალებით კაშხალის ტანს ყოველდღიურად ზრდიან 20.000 კუბმეტრი ხრეშნარევი ქვიშით. კარიერამდე სპეციალურად გაყვანილი რკინიგზით ქვიშახრეშის გადაზიდვა ხდება დუმპკარებით — თვითსაცლელი სარკინიგზო ვაგონებით, რომელთა დატვირთვა კარიერებზე, ისევე როგორც მათი დაცლა კაშხალის მშენებლობაზე, სავსებით მექანიზებულია.

კაშხალის ქვემოთ მდინარის გაშვება განხორციელებულია სპეციალურ ნაგებობათა საშუალებით. მთავარი კაშხალი მდინარემ რომ ვერასოდეს დააზიანოს, მის ქვემოთ მრავალი კილომეტრის დაშორებით შენდება მეორე, უფრო მცირე კაშხალი მდინარების სისწრაფის შესამცირებლად და მტკვრის კალაპოტში წყლის გარკვეულ დონემდე შესაგუებლად. გადაწყვეტილია აქაც აგებულ იქნას უფრო მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. წყლის შეგუებება ამ მეორე საფეხურზე საჭიროა კიდევ იმიტომ, რომ აქედან მდინარის ორივე მხრისაკენ სათავე უნდა დაედოს დიდ სარწყავ არხებს — ქვემო შირვანისას და ქვემო ყარაბაღისას და მათი საშუალებით უნდა მოეფინოს მტკვრის წყალი შირვანის, მილსის, მუღანის, ყარაბაღის და სალიანის ტრამალებს.

მინგეჩაურის მძლავრი ჰიდროელექტროსადგური მშენებლობა ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს. დაწყებულია და სულ მოკლე ხანში დამთავრდება ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგის მძლავრი ჰიდროტურბინების მონტაჟი.



მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. ფოტო ფ. შევცოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა)

★

ძმეგი ძმეგთან

უზარმაზარ სამგორელ ჰიდროენერგომშენებელთა პირველი სამმართველოს შენობის წინ ხალხი შეკრებილიყო. შენობაში შესასვლელი ქვის კიბის შუა საფეხურზე ჩასკვნილი კაცი იდგა, ეტყობოდა ის-ის იყო დაემთავრებინა, რის თქმაც უნდოდა, ერთხელ კიდევ გადაავლო შეკრებილთ თვალი და იკითხა:

— ვინ არის მსურველი?

გაკვირვების გამომხატველმა ხმაურმა ყრუდ გაიშრიალა ხალხში. როგორ თუ ვინ არის მსურველი, რა საჭიროა ასეთი შეკითხვა? ჩანდა, ბევრს უადგილოდ მიაჩნდა კითხვის ასე დაყენება, მით უმეტეს, რომ კიბეზე მდგომმა ასე გარკვევით აღნიშნა, თუ რა დიდი და საპატიო ამოცანისათვის იწვევდნენ ვალმოხდილ სამგორელ ჰიდროენერგომშენებლებს მოძმე აზერბაიჯანში.

— მე ჩამწერეთ!

— მეც, თუ შეიძლება!

საფეხურზე მდგომმა ქალაღზე ორი კაცის ვინაობა აღნიშნა, და სანამ ხალხს ხელახლა გადმოხედავდა, მის გვერდით უკვე აღმოჩნდა სანდომიანი გამომეტყველების, საშუალო ტანის კაცი, რომელსაც ლურჯ სამუშაო ხალათზე ბეტონის წვეთები ნაცრისფრად დასჩნოდა. „ავქსენტია, ავქსენტი გუმბერიძე, ნეტავ რა უნდა თქვას" — გაკვირდნენ ყველანი, მაგრამ ამასობაში ლურჯხალათიანმა უკვე დაიწყო:

— ცხადია, წასვლის სურვილი ყველას გვაქვს, აქ ჩვენი ტრესტის მმართველმა ვახტანგ ჩანკვეტაძემ დაწვრილებით განგვიმარტა, რატომ არის საჭირო ჩვენი წასვლა მინგეჩაურში, რა მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანელ მოძმეებთან შრომაში ჩვენს მონაწილეობას. იქ ჩვენ უნდა ვიკისროთ დიდ და პასუხსაგებ საშუშაოთა შესრულება. რომელი ჩვენგანი იტყვის უარს იმაზე, რომ პირადი შრომითი მონაწილეობა მიიღოს საქართველოს, ჩვენი ტექნიკური საზოგადოებრიობის, ჩვენი კოლექტივის ღირსების დაცვაში. იქ, აზერბაიჯანში, ხომ ჩვენი საერთო საქმე კეთდება, საამაყო, სადიდებელი საქმე. ყველანი მზად ვართ დახმარება გავუწიოთ მოძმე მეზობლებს, მეც, აი — ფრიდონ კორძახიაც, ბევრი სხვაც... მაგრამ ამასთანავე, ჩემი აზრით, საჭიროა წამსვლელები თვითონ ტრესტის ხელმძღვანელებმა შეარჩიონ, მხოლოდ საუკეთესონი გაგზავნონ, რათა გვასახელონ, საქართველოს და აზერბაიჯანის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის მარადიულ ძეგლად სრულყოფილი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი ააგონ...

სახელდახელოდ შეკრებილნი ნელა წავიდ-წამოვიდნენ.

ტრესტის მმართველი ვ. ჩანკვეტაძე სამმართველოში შევიდა და თან მშენებლების მთელი ჯგუფი შეჰყვა.. თქვენ შეარჩიეთ აზერბაიჯანში წასასვლელი საუკეთესო მშენებლები, ოღონდ ამ საუკეთესოთაგან მე ნუ გამომრიცხავთო, — ასეთი იყო თვითეული მათგანის სურვილი.

— უფროსო, ჩვენ ორი კაცი ახლა ჩაგვნიშნე და სხვები თუ გნებავთ, მერე შეარჩიეთ!

— კარგი. რა გვარი ხარ?

— გიორგი მგალობლიშვილი — ავტომძღოლი, მეორე კატეგორია მაქვს. ეს კიდევ შოთა შიოლაშვილია, პირველი კატეგორიის ელექტრომემონტაჟე! კარგი ამხანაგები ვართ და ნუ დაგვაშორებთ ერთმანეთს.

ეს მოხდა 1952 წლის ზაფხულის დასაწყისში.

აზერბაიჯანის დიდ სახალხო მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად გასაგზავნი სპეციალისტები — გვირაბმშენებლები, მებეტონეები, ხეოროები, ელექტრომემონტაჟეები, მექანიკოსები, ყველა პროფესიის მაღალკვალიფიციური მუშაკები მოკლე დროში შეარჩიეს და გაგზავნეს.

* * *

სწრაფმსრბოლმა იატომობილმა ვერ დალია მდინარის მარცხენა მხრის თვალუწვდენი ტრამალი, შემდეგ მარჯვნივ გადაუხვია, მიმართულება შორს ჰორიზონტზე აღმართული რუხი მაღალი სერისკენ აიღო და ორმოციოდე წუთის შემდეგ ნორჩ მცენარეთა ხეივნით შემკულ განიერ ქუჩაში შეიჭრა. ქუჩის დასაწყისთან რკინის ბოძზე დამაგრებულ აბრაზე აზერბაიჯანულ-რუსული წარწერა იყო: „მინგეჩაური".

მინგეჩაური აზერბაიჯანის ერთ-ერთი ახალგაზრდა ქალაქია, სუმგაიტის ტოლი და ჩვენს რუსთავზე ცოტათი ახალგაზრდა. 1946 წლამდე იქ მოსახლეობა არ ყოფილა. მინგეჩაურჰესის მშენებლობის დაწყებასთან ერთად დაიწყო ამ ქალაქის ისტორიაც, თუმცა, როგორც ახლა ირკვევა, მრავალ საუკუნეთა წინათ აქ ცხოვრება ჩქეფდა, მოსახლეობაც იყო, და კულტურაც იმ დროის შესაფერისად მაღალი ყოფილა. ამას ადასტურებს აზერბაიჯანელ არქეოლოგთა მიერ ახლახან შესრულებული გათხრების დროს აღმოჩენილი ძეგლები, მიწის ქვეშ მოყოლილ შენობათა ნაშთები და უძველეს სამარხებში ნაპოვნი იარაღი, სამკაულები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები.

ერთი ხუთწლედის მანძილზე მინგეჩაური ახალი ტიპის ბაღი-ქალაქი გახადეს, იქ ახლა მრავალი ათასი მოსახლეა. ქალაქი აზერბაიჯანულ სტილზე ნაგები უმთავრესად ერთსართულიანი შენობებისაგან შედგება, უზრუნველყოფილია სრული კომუნალური კომპლექსით და მწვანე ნარგავთა სიჭარბით, რაც განსაკუთრებულად მიმზიდველს და მოსაწონს ხდის მინგეჩაურს, როგორც თვალწარმტაც ოაზისს.

ამ ქალაქიდან მიდის პირდაპირი გზა „ქართველების სამუშაო უბნისაკენ". ასეც ეძახიან აქ: „ქართველების უბანი". მშვენიერი, კარგი სტანდარტული საცხოვრებელი სახლები აუგიათ აზერბაიჯანელებს ჩვენი ჰიდროენერგომშენებლებისათვის, ადგილიც, სადაც ეს სახლებია გაშენებული, კარგია, ოღონდ ქუჩების კეთილმოწყობა ჯერ დამთავრებული არ არის, ნარგავებმაც წელს პირველად აიშრიალეს ფოთლები. აზერბაიჯანელი მასპინძლები ყველა პირობას უქმნიან ჰიდროენერგომშენებლებს იმისათვის, რომ მაღალნაყოფიერად იმუშაონ, კულტურულად დაისვენონ, გაერთონ და აზერბაიჯანში ყოფნისა და შემოქმედებითი შრომის პერიოდი მუდამ სასიამოვნო მოგონებად დარჩეთ.

საქართველოს ჰიდროენერგომშენებლებს აქ ხელმძღვანელობს ინჟინერი მირიან მაჩიტაძე. ესეც სამგორელია, ერთერთი მშენებლობის ყოფილი მთავარი ინჟინერი, გამოცდილი სპეციალისტი და აღლოიანი კომუნისტი, რომელსაც აქვს უნარი ხალხს თავი შეაყვაროს, პირადი მაგალითით აღაფრთოვანოს მასები და გაიყოლიოს ისინი ყოველგვარი დაბრკოლების გადასალახავად.

დაბრკოლებები კი ჰიდროენერგომშენებლებს ამ უბანზე ხშირად ეღობებათ. მტკვარს უხვად მიაქვს საქართველოს მთებში თოვლის დნობის შედეგად აჩანჩქერებული მღვრიე წყალი, ზღვადქცეულ წყალსაცავში დონე მაღლა იწევს და ჰიდროენერგომშენებელთა სამუშაო უბანს აწვება. საჭიროა სწრაფად დაამთავრონ აქ მუშაობა, სარწყავი სისტემისათვის წყლის მიმღები ნაგებობა პირველ მაისამდე მაინც მოათავონ, შემდეგ ზღვის წყალს გზა ლითონის ფარებით გადაუჭრან და გულდამშვიდებით განაგრძონ დანარჩენ სამუშაოთა შესრულება.

ადგილმდებარეობის გეოლოგიური თავისებურებაც მრავალ უხერხულობას უქმნის მშენებლებს, მაგრამ ისინი ყველა დაბრკოლებას ძლევენ, ჰიდროენერგეტიკულ მშენებლობაში შეძენილი დიდი გამოცდილება და მუშაობის მაღალი კლასის დაუფლება მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაძლიონ ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება.

* * *

ხუთასამდე მშენებელი მუშაობს „ქართველების უბანზე". მათ შორის ბლომად არიან აზერბაიჯანელები, იმიტომაც, რომ ასეთი ხასიათის მშენებლობაში წრთობა მიიღონ, მუშაობაში ოსტატობას დაეუფლონ, გამოცდილება შეიძინონ და, თუ საჭირო იქნა, სამაგიერო შრომითი დახმარება გაუწიონ ქართველებსაც, მეზობელ სომხებსაც, ყველას, ვინც კომუნიზმს აშენებს.

ამაყობენ აქაური აზერბაიჯანელი მშენებლები იმით, რომ მთა წილად ხვდათ — დასახმარებლად ჩამოსულიყვნენ მეზობლებთან სამუშაოდ. მინგეჩაურჰესის მშენებლებთან საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის იბრძვის ამ უბნის კოლექტივი და ამ ბრძოლაში აზერბაიჯანელები არანაკლებ ენთუზიაზმს იჩენენ, საქართველოს ჰიდროენერგომშენებელთა ღირსებისათვის არანაკლებ თავდადებას ამჟღავნებენ, ვიდრე ქართველები.

ამიტომ არის, რომ დღისით საერთო საცხოვრებელი დაცალიერებულია, მშენებელთა ხელმძღვანელებს კაბინეტები მიტოვებული აქვთ, ყველანი იქ არიან — მშენებლობაზე.

* * *

მშენებლობის უფროსი მირიან მაჩიტაძე სიყვარულით ლაპარაკობს აქაურ მშენებლებზე. მთავარი ის კი არ არის, რომ ჩვენ ვაშენებთ ამ მნიშვნელოვან კვანძს, — ეს კარგი, სასახელო და საყურადღებო საქმეა, მაგრამ უფრო საყურადღებოა ის სიყვარული და ძმური კავშირი, რომელიც დღითიდღე ძლიერდება და მტკიცდება ამიერკავკასიის ამ ორი მოძმე ხალხის შვილებს შორის.

ურთიერთისადმი ეს სიყვარული და პატივისცემა იყო,—ამბობს მაჩიტაძე,— რომ „ქართველების უბნის" კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა 132 პროცენტით გაანაღდა, წარმატებით განაგრძობს მუშაობას აპრილში, და არის იმედი, რომ საპირველმაისოდ მინგეჩაურელებთან შეჯიბრებაში არ შერცხვება.

მშენებლობის მთავარ ინჟინრად მუშაობს ჯერ ხრამჰესში და შემდეგ სამგორში სახელმოხვეჭილი ჰიდროენერგომშენებელი, სტალინური პრემიის ლაურეატი ნიკოლოზ მაკარევიჩი, მთავარ მექანიკოსად — ინჟინერი ალექსანდრე ჩხაიძე, ტექნიკური დარგის ხელმძღვანელად — ინჟინერი ავქსენტი გუმბერიძე, საგეგმო დარგის ხელმძღვანელად — ინჟინერი ფრიდონ კორძახია და სხვები — თედორე რაზგულიავი, არტემ გრიგორიანი, გიორგი მგალობლიშვილი, ვანო მირიანაშვილი, შოთა შიოლაშვილი, ივანე ოხრი... ყველას ჩამოთვლა ძნელია.

1955 წელს იმ მიმართულებით, სადაც ახლა საქართველოდან გაგზავნილი მშენებლების სამუშაო ფრონტია, დიდი არხით წყალი დაიძვრის აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ტრამალებისკენ, სიცოცხლეს შთაბერავს ყარაბაღის გადაღმა მწირ ველებს და ბამბის ფანტელებით გადაათეთრებს უზარმაზარ სივრცეებს. ბამბას ფეიქრები „თეთრ ოქროს" უწოდებენ. მოზღვავდება „თეთრი ოქრო" აზერბაიჯანის ველებზე აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის მშრომელების, მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

ამაყად, ლაღად ფრიალებს რუხი სერის სამაღლეზე გეოდეზისტების მიერ ნიველირით გავლისათვის სანიშნოდ აღმართული წითელი დროშა, ხოლო ქვემოდან ისმის ძმებთან დასახმარებლად მისული ძმების შეწყობილი შრომის გუგუნი და მკაფიოდ ელვარებს დროშაზე წარუშლელი წარწერა: „ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის პირობებში ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი, არც შინაური, არც გარეშე მტერი"...

დ. ლომთათაძე.

★

...თუ ელექტროენერგიის გამოყენებისა ზი-ხედვით ერთ საბჭოთა რესპუბლიკას, მაგალითად, აზერბაიჯანის რესპუბლიკას, შევადარებთ თურქეთს, აღმოჩნდება, რომ საბჭოთა აზერბაიჯანში, სადაც მოსახლეობა თითქმის შვიდჯერ ნაკლებია, ოთხჯერ მეტი ელექტროენერგია მუშავდება, ვიდრე თურქეთში, რომელმაც თავი გაჰყო ამერიკული „დახმარების" მარყუჟში.

ლ. პ. ბერია.

★ ★

ასეთია მშენებლობის ტექნიკური სიახლენი

⊙ **მინგეჩაურჰესის მშენებლობაზე** მარტო ერთ-ერთი მთავარი ნაგებობისათვის შესასრულებელი იყო 16 მილიონი კუბმეტრი მიწისა და 950 ათასი კუბმეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაო. აქედან საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში მშენებლებმა შეძლეს 3.244.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოს და 26.850 კუბმეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოს შესრულება.

⊙ **დიდ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა** დაბეტონებისას არმატურის გასაწყობად ჩვეულებრივად იყენებენ მრგვალი მოყვანილობის რკინის შოლტებს, რომელთა კვეთი ზოგ შემთხვევაში იმდენად დიდია, რომ მეარმატურეებს მათ მოსაღუნავად დიდი შრომის გაწევა სჭირდებათ. მარტში მინგეჩაურჰესის ერთ-ერთი ნაგებობისათვის გამოიყენეს ე. წ. ცხლად გაგლინული პერიოდული პროფილის საარმატურო რკინა, რამაც მშენებლებს ლითონის დიდი ეკონომია მისცა. პერიოდული პროფილის საარმატურო რკინის შოლტები უფრო წვრილი ზომისა არიან, უკეთესად ამკერავებენ ბეტონს და ამის შედეგად ნაგებობის გამძლეობა უფრო მაღალია. ამ ცდამ გამოიწვია მეარმატურეთა შრომის ნაყოფიერების საგრძნობლად გადიდება.

⊙ **პლასტიფიცირებული ბეტონის** მასობრივად გამოყენება ამიერკავკასიაში ამას წინათ დიდი წარმატებით სცადეს მინგეჩაურში. ბეტონის პლასტიფიკატორად აქ გამოყენებულ იქნა სულფიტ-სპირტის ჩუჩყიანი ნარეცხი, რომელმაც ცემენტსა და ქვიშაშხრეშში გარკვეული დოზით შერევის შემდეგ ბეტონის გამძლეობის ხარისხი, მიუხედავად ცემენტის დოზის შემცირებისა, დიდად აამაღლა. ამით მშენებლებმა განვლილ პირველ კვარტალში მრავალი ასი ტონა ცემენტი დაზოგეს.

⊙ **მოსიარულე ექსკავატორებს** ყველა მშენებლობაზე მიწის სამუშაოთა შესრულებაზე იყენებენ. ვინაიდან მინგეჩაურის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სხვა სამუშაოებთან შედარებით უფრო საშური ინერტული მასალის ტრანსპორტირება გახდა, მშენებლებმა გადაწყვიტეს მოსიარულე ექსკავატორთა მთელი თავიანთი პარკი კარიერზე გაეგზავნათ ინერტული მასალის რკინიგზის ეკონომიებში ჩატვირთვის დასაჩქარებლად. ამან შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. მატარებლის ერთ შემადგენლობას მოსიარულე ექსკავატორები 15 წუთის განმავლობაში ტვირთავენ ინერტული მასალით. მარტსა და აპრილში მატარებელთა დატვირთვის ასეთი ჩქაროსნული წესის განხორციელებამ მშენებლობას 1 მილიონამდე მანეთი ეკონომია მისცა.

მათ იცნობს მთელი აზერბაიჯანი

ბევრმა მშენებელმა გაითქვა სახელი თავდადებული, ოსტატური შრომით, სიახლის ალღოთი, ახალი სამშენებლო ტექნიკის სრული ათვისებით. ამ სახელოვან მშენებლებს მთელ აზერბაიჯანში იცნობენ, მათზე აშუღები მღერიან როგორც გმირებზე, ხალხის საყვარელ შვილებზე.

მოსიარულე ექსკავატორის მემანქანე **მაჰერამ დადაშევი**, ორთქლმავლის მემანქანე **ტანივერდი ტანივერდიევი**, მემონტაჟე **მაჰმედგომშანოვი**, მექანიკოსი **ქაჩრამან ხალილოვი** ის ადამიანები არიან, რომლებიც ყველაზე სწრაფად აწოდებენ კაშხალის მშენებლებს საკაშხალე მასალას. მატარებლები დაქრიან კაშხალზე და მთავარ კარიერს შორის. დღეში 20.000 კუბმეტრი ქვიშაშხრეშისა და ყამირის გადაზიდვა კარიერიდან კაშხალამდე შეუძლებელი იქნებოდა იმ სატრანსპორტო საშუალებებით, რაც მინგეჩაურელ მშენებელთა განკარგულებაშია, ეს სახელოვანი ადამიანები ასეთი თავდადებით რომ არ მუშაობდნენ.

შარშან მინგეჩაურელებმა ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობაზე, იქაურ მშენებელთა გამოცდილებასთან გასაცნობად მიავლინეს თავიანთი წარმომადგენლები — ინჟინერი რუსტამ ასლანოვი, მუსა აიდაროკი და სხვები. მივლინებულებმა დიდი გამოცდილება ჩამოიტანეს მინგეჩაურში ვოლგადონელი მშენებლებისაგან.

ახლა მინგეჩაურში მასობრივად იყენებენ ამ გამოცდილებას, და თუ საგენერატორო შენობაში ელექტროაგრეგატების დამონტაჟება სწრაფად მიმდინარეობს, ამაში გარკვეული დამსახურება მიუძღვით ვოლგა-დონელთა გამოცდილების გადმომნერგავებს.

მინგეჩაურჰესის მთავარი შენობის აგებას ხელმძღვანელობს ინჟინერი **რუსტამ ასლანოვი**, რომელიც შარშან ვოლგადონელ მშენებლებთან იყო მივლინებული. ასლანოვმა სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესოდ მომზადებულმა ჰიდროენერგეტიკოსმა სპეციალისტმა, რომელიც დიდი წარმატებით იყენებს თავის თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში. ამას წინათ ასლანოვმა საუკეთესოდ დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

მან ბევრი მაღალკვალიფიციური მშენებელი აღუზარდა სამშობლოს. მისი აღზრდილები არიან ტექნიკოსი მშენებელი თამილა მუღანლინსკაია, მეექსკავატორე სარვან სალმანოვი, მექანიზატორები — თოფიკ ნასიბოვი, ჰაჯან ახმედოვი და სხვები.

თენგიზ კორინთელი, დავით კუხიანიძე, ვალენტინა ნორაკიძე, ავთანდილ კორძაია, ოთარ ჩიჩუა, 30-ზე მეტი ახალგაზრდა ქართველი ინჟინერი და ტექნიკოსი საკუთარი სურვილით გაემგზავრა შარშან საქართველოდან აზერბაიჯანში მინგეჩაურჰესის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტებს საუკეთესო დახასიათებას აძლევენ მშენებლობის ხელმძღვანელები. შრომისმოყვარე, უნარიანი და მზარდი ადამიანები არიანო, ამბობს მათზე მშენებლობის უფროსი ისლამ ისლამ-ზადე. ბევრი მათგანი უკვე დაწინაურეს ხელმძღვანელ ტექნიკურ სამუშაოზე: თენგიზ კორინთელი მშენებლობის სამმართველოში მუშაობს ჰესის ძირითად ნაგებობათა მთავარ ინჟინრად, დავით კუხიანიძე ინჟინერ-ენერგეტიკოსად, ავთანდილ კორძაია — დერივაციის უბნის უფროსად...

ს. ზეინალი,
მშენებლობის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი.

კორეის ამგეგი

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი. 25 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი.

ფხენიანი, 26 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი.

ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლა კორეაში

პეკინი, 25 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

კორეა-ჩინეთის მხარემ დღეს გადასცა ამერიკის მხარეს 17 სამხედრო ტყვე ამერიკელი, 4 ინგლისელი, 4 თურქი და 75 კორეელი.

მას შემდეგ, რაც 20 აპრილს დაიწყო ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლა, კორეა-ჩინეთის მხარემ ამერიკის მხარეს გადასცა არა კორეელი ეროვნების 200 და კორეელი ეროვნების 400 სამხედრო ტყვე.

დღეს ამერიკის მხარემ კორეა-ჩინეთის მხარეს გადასცა კორეის სახალხო არმიის 500 ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურე, რომელთაგან 25 ფსიქიკურად დაავადებულია. როგორც ამერიკელები იუწყებიან, ხვალ ისინი გადასცემენ კიდევ 50 ფსიქიკურად დაავადებულ ტყვეებს. ცხადია, ფსიქიკურად დაავადებულთა ასეთი დიდი რიცხვი კუნძულ კოჯედოზე იძულებითი შერჩევისა და სხვა რეპრესიულ ღონისძიებათა შედეგია. კორეის სახალხო არმიის ავადმყოფმა და დაჭრილმა ტყვე სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებიც დღეს გადასცეს, განაცხადეს, რომ 22 აპრილიდან ამერიკელები უდიდესი გულმოდგინებით ჩხრეკდნენ ავადმყოფ და დაჭრილ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს.

ფხენიანი, 26 აპრილი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს თავისი სპეციალური კორესპონდენტის ცნობას პანმინჯონიდან. ცნობაში ნათქვამია, რომ ამერიკის მხარის მიერ რეპატრიირებული 550 სამხედრო ტყვე წინასწარ შეამოწმეს ექიმებმა. გასინჯვამ ცხადყო, რომ მათგან 221 კაცი ინვალიდია, ამასთან 189 მათგანი ინვალიდი გახდა ან იმის გამო, რომ არ ჰქონდა საკმარისი საექიმო მკურნალობა, ან იმის გამო, რომ სამხრეთ კორეის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში სრულიად არ არის რაიმე მკურნალობა. 191 შემოწმებული ავადმყოფი სამხედრო ტყვიდან 109 კაცი დაავადებულია ტუბერკულოზით. ეს დაავადება გამოიწვია სამხედრო ტყვეთა ბანაკებში არასაკმაო კვებამ და მძიმე შრომამ.

პეკინი, 26 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგვცემს:

კორეა-ჩინეთის დელეგაციამ დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე დღეს გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

26 აპრილს კორეა-ჩინეთის მხარემ მოახდინა პანმინჯონში 84 ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვის (71 კორეელისა და 13 ამერიკელის) რეპატრიაცია. დღემდე კორეა-ჩინეთის მხარემ დაამთავრა 684-ვე ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვის რეპატრიაცია, რომელნიც იმყოფებოდნენ სამხედრო ტყვეთა ბანაკებსა და ფრონტის ჰოსპიტლებში. ეს რეპატრიაცია ხდებოდა ჟენევის 1949 წლის კონვენციის 109-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, მუხლისა, რომელიც ეხება სამომარი მოქმედების პერიოდში ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხს, და ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოაწერა ორივე მხარემ პანმინჯონში 1953 წლის 11 აპრილს. რეპატრიირებულთა შორის არის 471 კორეელი, 149 ამერიკელი, 32 ინგლისელი, 15 თურქი, 6 კოლუმბიელი, 5 ავსტრალიელი, 2 კანადელი, 1 სამხრეთაფრიკელი, 1 ჰოლანდიელი, 1 ფილიპინელი და 1 ბერძენი.

მეორე მხარემ დღეს მოახდინა კორეის სახალხო არმიის 497 ავადმყოფი და დაჭრილი ტყვე სამხედრო მოსამსახურის რეპატრიაცია.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 26 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

დღეს ნაშუადღევის 2 საათზე განახლდა კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე ორივე მხარის დელეგაციათა პლენარული სხდომა. კორეა-ჩინეთის მხარის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა ამ სხდომაზე გააკეთა განცხადება და წამოაყენა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ეხება სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხის მოწესრიგებას. ქვემოთ მოყვანილია გენერალ ნამ ირის განცხადების ტექსტი და კორეა-ჩინეთის მხარის წინადადებანი.

ჩვენი მხარის სარდლებმა უკვე აღნიშნეს 1953 წლის 28 მარტს, რომ საომარი მოქმედების პერიოდში ორივე მხარის ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა გაცვლის საკითხის გონივრულმა გადაჭრამ გზა უნდა გაუკაფოს სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხის შეუფერხებელ მოწესრიგებას და ამით კორეაში დაზავების მიღწევას, რაც სწყურიათ მთელი მსოფლიოს ხალხებს. ახლა არა მარტო შეუფერხებლად მიმდინარეობს ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა გაცვლა, არამედ ჩვენმა მხარემ წამოაყენა მეტად კონსტრუქციული წინადადება სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხის მოწესრიგების შესახებ. ამიტომ დადგა დრო განახლდეს დაზავებაზე მოლაპარაკება და გადაიჭრას სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხი, რათა ორივე მხარის დელეგაციების ერთობლივი ღონისძიებებით უზრუნველყოფილ იქნას დაზავება კორეაში. ახლა, როცა ჩვენ შევისწავლეთ და განვიხილეთ თქვენი მხარის 16 აპრილის სამი პუნქტისაგან შემდგარი კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ეხება ჩვენი წინადადების განხორციელებას, ჩვენი სურვილია წარმოვადგინოთ ღონისძიებანი, რათა ჩვენი მხარის წინადადება განხორციელდეს როგორც საფუძველი ორივე მხარის დელეგაციათა სხდომებზე კონსულტაციისა და განხილვისათვის. მთელ მსოფლიოს სწყურია დაზავება კორეაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორივე მხარეს შორის კონსულტაციისა და განხილვის გზით სავსებით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას გონივრული მოწესრიგება სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხისა, რომელიც ახლა ხელს უშლის დაზავების მიღწევას კორეაში, შესაძლებელია იმ პირობით, რომ ორივე მხარე მშვიდობის მსურველი იქნება და იმოქმედებს ურთიერთ დათმობის სულისკვეთებით.

იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებსაც შეიცავს სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხის მოწესრიგების შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შესაბამისად 1953 წლის 30 და 31 მარტს წამოყენებული წინადადება, და განცხადება, რომელიც მე გავაკეთე მიმდინარე წლის 9 აპრილს, ჩვენს მხარეს ახლა შემოაქვს შემდეგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ეხება სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის მთელი საკითხის მოწესრიგებას:

1. დაზავებაზე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან ორი თვის განმავლობაში ორივე მხარემ რაიმე დაბრკოლების შეუქმნელად უნდა მოახდინოს რეპატრიაცია და ჯგუფ-ჯგუფად გადასცეს ყველა სამხედრო ტყვე, რომელიც რეპატრიაციას მოითხოვს, იმ მხარეს, რომელსაც ეს სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან, დაზავებაზე შეთანხმების მე-3 მუხლის 51-ე პარაგრაფის დებულებათა შესაბამისად და სამხედრო ტყვეთა იმ საბოლოო სიების შესაბამისად, რომლებიც ორივე მხარემ შეაჯერა და რომლებიც მათ გაცვალეს.

2. ყველა იმ სამხედრო ტყვის პირდაპირი რეპატრიაციის დამთავრების მომენტიდან ერთი თვის განმავლობაში, რომლებიც რეპატრიაციას მოითხოვენ, მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადასცენ ნეიტრალურ სახელმწიფოს, რომლის კანდიდატურის შესახებ ისინი შეთანხმდნენ კონსულტაციის გზით, დანარჩენი სამხედრო ტყვეები, რომლებიც რეპატრიირებული არ არიან პირდაპირ, და შემდეგ გაათავისუფლონ ისინი თავიანთი სამხედრო კონტროლისაგან. ეს სამხედრო ტყვეები უნდა მიიღონ და თავის მფარველობაში აიყვანონ ამ ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფლებამ ამ ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ რაიონში. ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფლებს უნდა ჰქონდეთ უფლება განახორციელონ მათს იურისდიქციაში დროებით მყოფი სამხედრო ტყვეებისადმი კონტროლის თავიანთი კანონიერი ფუნქციები და მოვალეობანი.

3. ნეიტრალურ სახელმწიფოში ამ სამხედრო ტყვეთა მისვლის მომენტიდან ექვსი თვის მანძილზე იმ ქვეყნებს, რომლებსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან, უნდა მიეცეთ უფლება და შესაძლებლობა, რომ თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნონ ამ ნეიტრალურ სახელმწიფოში, რათა სამხედრო ტყვეებს შორის, რომლებიც ამ ქვეყნებს ეკუთვნიან, გასწიონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმ მიზნით, რომ გაუფანტონ მათ შიში და გაურკვევნობა ყველა საკითხი, რომლებიც ეხება სამშობლოში მათს დაბრუნებას, და კერძოდ ის, რომ მათ სრული უფლება აქვთ დაბრუნდნენ შინ და მშვიდობიანად იცხოვრონ.

4. ნეიტრალურ სახელმწიფოში ამ სამხედრო ტყვეთა ჩასვლის მომენტიდან ექვსი თვის მანძილზე და მას შემდეგ, რაც ქვეყნები, რომელთაც ეს სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან, ახსნა-განმარტებითს მუშაობას გასწევენ სამხედრო ტყვეთა შორის, ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მალე დაბრუნდეს სამშობლოში ყველა სამხედრო ტყვე, რომელიც რეპატრიაციას მოითხოვს, და ამ მხრივ არ უნდა შეიქმნას რაიმე დაბრკოლება. ამ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის ადმინისტრაციული დეტალები უნდა მოწესრიგდეს ნეიტრალური სახელმწიფოს ხელისუფალთა და იმ ქვეყნების ხელისუფალთა შორის კონსულტაციის გზით, რომლებსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან.

5. თუ ამ წინადადების მე-3 და მე-4 პარაგრაფებით გათვალისწინებული 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ ნეიტრალური სახელმწიფოს მფარველობაში მაინც დარჩება რომელიმე სამხედრო ტყვე, მათი შემდგომი ბედის საკითხი კონსულტაციის გზით გადასაჭრელად უნდა გადაეცეს პოლიტიკურ კონფერენციას, რომლის მოწვევა გათვალისწინებულია დაზავებაზე შეთანხმების მე-4 მუხლის მე-60 პარაგრაფით.

6. ნეიტრალურ სახელმწიფოში სამხედრო ტყვეების ყოფნასთან დაკავშირებული მთელი ხარჯები, მათ შორის სამხედრო ტყვეთა სამშობლოში გაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯებიც, უნდა იკისროს იმ ქვეყანამ, რომელსაც სამხედრო ტყვეები ეკუთვნიან.

პეკინი, 26 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

დღეს გენერალმა ნამ ირმა გახსნა დაზავების შესახებ განახლებულ მოლაპარაკებაზე ორივე მხარის დელეგაციათა პირველი პლენარული სხდომა, ამასთან წამოაყენა ექვსი პუნქტისაგან შემდგარი წინადადება, რომლის მიზანია მოწესრიგება სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის მთელი საკითხისა — ერთადერთი საკითხისა, რომელიც ხელს უშლის კორეაში დაზავების მიღწევას.

დღეს მოლაპარაკებაზე გენერალმა ნამ ირმა აღნიშნა, რომ სავსებით შესაძლებელია გონივრულად მოწესრიგებულ იქნას სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი, რომელიც ახლა ხელს უშლის კორეაში დაზავების მიღწევას, „შესაძლებელია იმ პირობით, რომ ორივე მხარე მშვიდობის მსურველი იქნება და იმოქმედებს ურთიერთ დათმობათა სულისკვეთებით“.

გენერალმა ნამ ირმა განაცხადა, რომ ექვსი პუნქტისაგან შემდგარი მისი წინადადება წამოყენებულია ამერიკის დელეგაციის მეთაურის ჰარისონის 19 აპრილის წერილის გულდასმით შესწავლის შედეგად. ეს არის კონკრეტული წინადადება, რომლის განხორციელებითაც შესაძლებელი გახდება გადაიჭრას დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე ერთადერთი გადაუჭრელი საკითხი, სახელდობრ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი და, ამრიგად, იგი გამოიწვევს კორეაში დაზავებას, თქვა ნამ ირმა.

წინადადების ერთ-ერთი ძირითადი მომენტია პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ კანდიდატურა ნეიტრალური სახელმწიფოსი, რომლის მფარველობაშიც გადაცემულ იქნებიან დანარჩენი სამხედრო ტყვეები, შეთანხმებულ უნდა იქნას კონსულტაციის გზით. მაგრამ ამერიკის მთავარმა დელეგატმა ჰარისონმა განაცხადა, რომ ასეთი ნეიტრალური სახელმწიფო უნდა იყოს შვეიცარია. გენერალმა ნამ ირმა დღეს აღნიშნა, რომ შვეიცარიის კანდიდატურა „აშკარად სრულიად შეუფერებელია“, რადგან შვეიცარია ერთ-ერთი სახელმწიფოა ორი ნეიტრალური სახელმწიფოდან, რომლებიც ამერიკის დელეგატებმა დაასახელეს დაზავების პირობების განხორციელებისადმი მეთვალყურეობის კომისიაში, რომელიც შედგება ოთხი ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან.

გენერალმა ნამ ირმა განაცხადა, რომ სამხედრო ტყვეთა საკითხის პრაქტიკულ მოწესრიგებას არ დაბრკოლებს რაიმე სიძნელე, თუ ორივე მხარე გულწრფელად ეცდება ერთობლივი ძალღონით მოაწესრიგონ ეს საკითხი. იგი დაეთანხმა ჰარისონის წინადადებას, რომ შემდეგი სხდომა დაინიშნოს 27 აპრილის დილის 11 საათისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ექვსი პუნქტისაგან შემდგარი მისი წინადადება სათანადოდ იქნება შესწავლილი.

ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკების გამო

კაირო, 26 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი“ იუწყება, ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა გენერალმა ნაგიბმა 25 აპრილს ინტერვიუში, რომელიც მან მისცა იუნაიტედ პრესის სააგენტოს შუა აღმოსავლეთის განყოფილების ხელმძღვანელს უოლტერ კოლინსს, განაცხადა, რომ სუეცის არხის ზონიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციის შესახებ მოლაპარაკება, რომელიც 27 აპრილს იწყება, შეეხება უმთავრესად სამხედრო საკითხებს. ეგვიპტე, განაცხადა ნაგიბმა, დაჟინებით მოითხოვს უთუო ევაკუაციას, და „ჩვენ არ ვაპირებთ განვიხილოთ რაიმე შუა აღმოსავლეთის თავდაცვითი ორგანიზაციის, პაქტის ან კიდევ სხვა ამგვარი საკითხი მანამდე, სანამ ჩვენი ქვეყანა სრულიად თავისუფალი არ იქნება მთელი უცხოეთის ჯარებისაგან“.

მდგომარეობა ირანში

თეირანი, 27 აპრილი. (საკდეაი). გაზეთებმა „შახბაზმა“ და „ბარგე წარდონმა“ გამოაქვეყნეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ირანის ეროვნული საზოგადოების მიმართვის ტექსტი. მიმართვაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი დროის განმავლობაში შახისა და ირანში ამერიკის ელჩის ჰენდერსონის უშუალო ხელმძღვანელობით, ამასთან ჰოსეინ ალას კარის ყოფილი მინისტრის, აგრეთვე გადამდგარი გენერლების ზაჰედისა და ჰეჯაზის მონაწილეობით, ირანის მეჯლისის თავმჯდომარის კაშანისა და მეორე სასულიერო ლიდერის ბეჰბეჰანის დახმარებით, აგრეთვე მეჯლისის დეპუტატების — შახის კარის მომხრეების დახმარებით. მზადდება სახელმწიფო გადატრიალება, რომლის მიზანია ახლანდელი მთავრობის დამხობა და ხელისუფლების გადაცემა ზაჰედის ან ჰოსეინ ალასათვის.

თეირანი, 26 აპრილი. (საკდესი). ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ თეირანის მიდამოებში აღმოაჩინეს ერთი კვირის წინათ უკვალოდ დაკარგული ირანის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის გენერალ აფშარტუსის გვამი. იუწყებიან, რომ აფშარტუსი დაიღუპა სამსახურის მოვალეობათა შესრულებისას და რომ დასაფლავება, რომელსაც მთავრობა აწყობს, მოხდება თეირანში 27 აპრილს.

ინგლისური ჟურნალი დასავლეთ გერმანიაში სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნის გეგმების შესახებ

ბერლინი, 27 აპრილი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო ბონიდან იუწყება, ჰიტლერული გერმანიის სამხედრო-საჰაერო ფლოტის ხუთი ყოფილი ოფიცერი იქნება დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაური.

ინგლისური ჟურნალი „როიალ ეირ ფორს ფლაინგ რევიუ“, რომელმაც ეს ცნობა მოათავსა, წერს: „გერმანიის საჰაერო ფლოტი დაიბადება იმ დღეს, როცა დამტკიცდება ბონისა და პარიზის ხელშეკრულებანი“.

დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ფლოტის უმაღლესი სარდალი უნდა გახდეს პოლკოვნიკი ჰოიზერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ბოლოს გერმანიის მე-4 საჰაერო ფლოტის შტაბის უფროსი იყო.

დაიხურა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესია

პარიზი, 25 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იტყობინება, რომ „ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს მე-11 სესიამ დაამთავრა მუშაობა. საბჭომ გადაწყვიტა შემდეგი სესია მოიწვიოს მიმდინარე წლის ოქტომბერში“.

პირველი მაისის დღეებიდან ფიჯი იაპონიაში

შანხაი, 27 აპრილი. (საკდესი). როგორც ოსაკას რადიოს ცნობებიდან ცხადი ხდება, მიუხედავად პოლიციის წინააღმდეგობისა, მშრომელები მთელ იაპონიაში ემზადებიან 1 მაისის დღესასწაულისათვის. პროფკავშირთა მიერ შექმნილი 1- მაისის დღესასწაულის მომწყობი კომიტეტი წარმატებით ამთავრებს მოსამზადებელ მუშაობას. ცენტრალური საპირველმაისო ლოზუნგებია — „ხელახლა შეიარაღების წინააღმდეგ!“, „იაპონიის ფაშიზაციის წინააღმდეგ!“, „დავიცვათ მშვიდობის კონსტიტუცია!“, „საერთო ბრძოლით მიაღწიეთ მინიმალური ხელფასის დაწესებას 8.000 იენის რაოდენობით!“.

კომიტეტის ცნობებით, ტოკიოში დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 400 ათასამდე კაცი.



26 აპრილს თბილისის ველოსტადიონზე გაიმართა სასპორტო საზოგადოებათა დასკვნითი შეჯიბრება ველოსპორტში თბილისის პირველობაზე. სურათზე: ველორბოლა ლიდერით 25 კილომეტრზე.
ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

სსრ კავშირის XV ჩემპიონაჟი ფეხბურთში

26 აპრილს კიევში, ხარკოვში, კუიბიშევსა და ვილნიუსში გაიმართა „ა“ კლასის გუნდების მორიგი კალენდარული შეხვედრები ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა შეჯიბრება კიევში მოსკოვის „დინამოსა“ და კიეველ თანაკლუბელთა შორის. ერთადერთი ბურთი გატანილ იქნა მეორე ტაიმის 37-ე წუთზე. გაიმარჯვეს კიევის დინამოელებმა. საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“ თამაშობდა კუიბიშევში „კრილია სოვეტოვის“ წინააღმდეგ. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ — 0:0. ასეთივე ანგარიშით დაამთავრეს შეჯიბრება ვილნიუსში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ და მოსკოვის „ლოკომოტივმა“. ხარკოვის ლოკომოტიველებმა თავიანთ მოედანზე მოუგეს ლენინგრადის „დინამოს“ ანგარიშით 2:0.

დღემდე ჩატარებულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით გათამაშების ცხრილში პირველი ადგილი უკავია კიევის „დინამოს“, რომელსაც 4 შესაძლებლიდან შეგროვილი აქვს 4 ქულა. 4 შესაძლებლიდან სამ-სამი ქულა შეაგროვეს თბილისის „დინამომ“, მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდმა, ვილნიუსის „სპარტაკმა“ და მოსკოვის „ლოკომოტივმა“. ორ-ორი ქულა აქვთ მოსკოვის „სპარტაკს“, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“, მოსკოვის „დინამოს“ და ხარკოვის „ლოკომოტივს“.

აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მეთოდებით მკურნალობა

ქუთაისის ქალაქის პირველ საავადმყოფოში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მეთოდების დასანერგავად. საავადმყოფოს თანამშრომლები, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გელოვანი, ექიმები ა. მინოვიჩი, ლ. მელაძე და კ. იოსელიანი სისტემატურად კითხულობენ ლექციათ-მოხსენებებს აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მეთოდების პრაქტიკულად დანერგვის საკითხებზე.

საავადმყოფოში უკვე განხორციელდა ძილის მეთოდით მკურნალობა, რისთვისაც მოეწყო „ძილის პალატა“.

გაზეთი „სტალინელი“

მსახიობ მ. ხინიკაძის შემოქმედებითი საღამო

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის მერაბ ხინიკაძის შემოქმედებითი საღამო.

მ. ხინიკაძის შემოქმედებითი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა დრამატურგმა ვ. კანდელაკმა. მსახიობს გულთბილად მიესალმნენ რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ნ. ნინუა, მოსწავლეები გ. ჩავლეიშვილი, ნ. დარჩია და ჩხაიძე.

საღამოზე წარმოდგენილი იყო ნაწყვეტები პიესებიდან „კიკვიძე“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ბაგრატიონი“ და „ურიელ აკოსტა“, რომლებშიც მთავარ როლებს ასრულებდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ხინიკაძე.

ქვირას თბილისში

ქვირას ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სასპორტო ბაზებზე გაიმართა მრავალი საინტერესო შეხვედრა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

არმიელ ფეხბურთელთა წარმატება

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგა ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და „დინამოს“ (მეორე შემადგენლობა) გუნდებს შორის. არმიელმა ფეხბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს ორივე ტაიმი და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 4:1.

ახალი რეკორდი

„დინამოს“ სტადიონის ზამთრის საცურავ აუზში დაიწყო საქართველოს უძლიერეს მცურავთა ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობას იღებს თბილისის, ბათუმის, სუხუმისა და ფოთის 120-მდე მოწინავე სპორტსმენი. შეჯიბრების პირველ დღეს, 26 აპრილს, დიდ წარმატებას მიაღწია რ. არკადიევამ, რომელმაც 100 მეტრი ნაბისმიერი სტილით გასცურა 1 წუთსა და 14 წამში და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

უძლიერესთა შეხვედრა

ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „პიშჩევიკის“ დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა საჩვენებელი გამოსვლები და ამხანაგური შეხვედრები. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ახალგაზრდა სპორტსმენმა ი. იაშაშვილმა ანგარიშით 2:1 მოუგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონს (წყვილებში) რ. ვიტულსკიტეს (კაუნასი). თამაშის მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა ე. ლუშკესასმა (მოსკოვი), რომელმაც მოუგო რ. კუდაშვილს (თბილისი) ანგარიშით 2:0. წარმატებით ჩატარდა შერეული წყვილთა შეხვედრები.

საძალაძო ჩემპიონატი

ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დაიწყო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში თბილისის პირად-გუნდურ პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებათა 40-მდე მოჭიდავე. გამარჯვებული გუნდი მიიღებს გარდამავალ ჯილდოს.

კინოთეატრის მშენებლობა

ზალკა. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის ცენტრში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი კინოთეატრის მშენებლობა.

კინოთეატრის მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია მიმდინარე წლის სექტემბრისათვის. დარბაზი 300-მდე მაყურებელს დაიტევს.

ლექცია, სემინარი

კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში 28 აპრილს საღამოს 8 საათზე ამხ. კ. სულეიმანი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

ამავე დღეს საღამოს 8 საათზე იქნე მოეწყობა სემინარები ი. ბ. სტალინის ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შემსწავლელთათვის. სემინარებს უხელმძღვანელებენ დოცენტი ი. შარაშენიძე და დოცენტი გ. ასათიანი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 22 მაისს დღის 3 საათზე სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) იბრაგიმ კერიმ ოღლი ეფენდიევი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „К истории медицины в Азербайджане“.

ოფიციალური ოპონენტები—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი გ. მ. ნათაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. გ. ხაკაშვილი და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. ე. ეფენდიევი.

მსურველნი შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

ოპერისა და ბალეტის თეატრი

28 აპრილს	ჯ. ვერდი — ტრავიატა
29 აპრილს	ლ. დელიბი — ლაკმე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ძმები გიორგი, მიხეილ, და პაშა ნიკურაძეები ოჯახებით იუწყებიან ალექსანდრე დავითის-ძე ნიკურაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-IV, 8 ს. გამოსვენება 30-IV, 6 ს. ბინიდან, პლეხანოვის პრსპ. № 191.

შვილი სარდიონ, შვილიმვილები სიმონ ოჯახით, ნინო, თინა, გივი იუწყებიან ეკატერინე ახმეტელაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 28-IV, 5 1/2 ს. კამოს ქ. № 64.

სახბანკის თბილისის სტალინის სახელობის რაიონის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან სოფიო ბენიამინის ასულ ტორაკაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-IV, 8 ს. გამოსვენება 29-IV, 5 1/2 ს. თუმანიანის შესახვ. № 8.

მეუღლე ეკატერინე, შვილები მარგარიტა, ივლიტე, შუშანა, მარიამ, შვილიშვილი თამაზ, სიძე გრიგოლ ყორყოლიანი ოჯახით იუწყებიან მეთო მიქელის-ძე კალანდარიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-V ქ. ცხაკაიაში, გამოსვენება ბინიდან, წყაროს ქ. № 40.

თბილისის მე-5 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან იოსებ ლეონტის-ძე ჯალალანიას გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები იუწყებიან ირინე დავითის ასულ მაჭავარიანის გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან 28-IV, 5 ს. ჯავახიშვილის ქ. № 27.

მეუღლე მარიამ, შვილები ნათელა, ეთერ, სიძე ისიდორე ყუფარაძე და შვილიშვილი ლამზირა იუწყებიან ლავრენტი სტეფანეს-ძე ქანთარიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-IV, 8 ს. გამოსვენება 30-IV, 6 ს. პასტერის ქ. № 7-ა.

ძმები სამსონ, მელიტონ, რძლები ტატიანა, მარო, ვერა, ოლია, ძმისწულები გიორგი, მარგალიტა, გურამ, შოთა, დავით, გალინა, სერგო, ზინა ქანთარიები, სიძე მიხეილ მურჯიანელი იუწყებიან ლავრენტი სტეფანეს-ძე ქანთარიას გარდაცვალებას.

დედა ელისაბედ, მეუღლე სოფიო, შვილები ეთერ, ნათელა, მაყვალა, შოთა, დები ალექსანდრა, მარიამ, ანა ნიკოლოზ, რძალი მარიამ, სიძეები გრიგოლ, ელიზბარ და შვილიშვილები იუწყებიან დავით ზაქარიას-ძე გურგენიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-IV მეჯვრისხევში (გორის რაიონი).

მეუღლე ევა, შვილები მერი, ბორის, რძალი ტონია, შვილიშვილები სვეტლანა, თემურ, თამარ, გ. და მ. ფოცხიშვილები, ფატი, იპოლიტე, აკაკი მათითანაშვილები იუწყებიან ანდრია ნიკოლოზის-ძე კრივოშეევის გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-IV, 8 ს. გამოსვენება 29-IV, 5 1/2 ს. ფიროსმანის ქ. № 33.

საქართველოს ზოოტექნიკური-სავეტერინარო ინსტიტუტის ენების კათედრის თანამშრომლები იუწყებიან ანდრია ნიკოლოზის-ძე კრივოშეევის გარდაცვალებას.

მეუღლე აგრაფინა, შვილები თინა, მერი, აკაკი, ავთანდილ, დები მარო, ვერა, ნუცა, ცოლისდები ოლია, ლეონიდა, ბაბილინა, ცოლისძმები ილია, მიხეილ კიკალიშვილები ოჯახებით იუწყებიან ლავრენტი სიმონის-ძე მუშკუდი